კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

ნათია იმნაიშვილი

უკრაინის საგარეო-პოლიტიკური კურსის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია „მაიდანის რევოლუციის“ შემდეგ

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:ვახტანგ მაისაია, პროფესორი

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი - 2021

ანოტაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მასში შემავალმა ქვეყნებმა დაიწყეს დამოუკიდებლობისკენ, თავისუფლებისკენ, განვითარებისკენ სვლა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც, 21-ე საუკუნეში, რუსეთი ცდილობს დაიბრუნოს ძველი დრო, ჩაერიოს თითოეული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, მაინც უდრეკად ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კავშირში დაბრუნებას.

ერთ-ერთი ქვეყანა არის უკრაინა, რომლის დღევანდელი საგარეო პოლიტიკა, ერთმნიშვნელოვნად მიმართულია დასავლეთისკენ, ნატოში გაწევრიანებისა და ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ. მიუხედავად „ყირიმის ანექსიისა“, ის არ უშინდება რუსეთის ზრახვებს და შეუპოვრად მიიკვლევს გზას ევროპისკენ.

უკრაინის ისტორიაში გარდამტეხი მოვლენა „მაიდანის რევოლუცია“ იყო, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყნის ჩამოყალიბებაში. რაც მთავარია, ამ გზაზე უკრაინელმა ხალხმა გაიმარჯვა, რომელმაც მკაფიოდ და ხმამაღლა დააფიქსირა მისი ნება და სურვილი.

ნაშრომი შეეხება უკრაინის საგარეო პოლიტიკას, თუ რა კურსი აირჩია მან, რა გზა გაიარა და რა გზას გადის დღეს. როგორია მისი, როგორც ევროპის ერთ-ერთი დიდი ქვეყნის ურთიერთობა, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან, ასევე ევროკავშირთან და ნატოსთან მიმართებაში. ნაშრომში განხილული იქნება „მაიდანის რევოლუციის“ შემდგომი უკრაინა, ქვეყანა, რომელიც რუსეთის ოკუპაციის პირობებში, მაინც მედგრად აგრძელებს გზას დასავლეთისკენ. აქვე შეხვდებით მოსაზრებებს და შეფასებებს, რომელიც უფრო ნათლად დაგვანახებს დღევანდელ რეალობას სხვადასხვა ჭრილში.

Annotation

After the dissolution of the Soviet Union, its constituent states began to move towards independence, freedom and development. Although, even today, in the 21st century, Russia is trying to bring back the old days and to intervene in the domestic and foreign policy of each country, the post-Soviet countries still steadfastly oppose to returning to the Soviet Union.

One of the countries is Ukraine, current foreign policy of which is unequivocally focused on the West, NATO membership and European integration. Despite the "annexation of Crimea", it is not afraid of Russia's intentions and tirelessly follows the path to Europe.

A turning point in the history of Ukraine was the "Revolution of Maidan", which played an important role in the formation of Ukraine as an independent, free country. Most importantly, the Ukrainian people have won on this path. They have clearly and loudly expressed their will and desire.

The paper addresses Ukraine's foreign policy, what course it has chosen, which path it has followed and what path it is following today. What is relationship of Ukraine as one of the largest countries in Europe with the post-Soviet countries, as well as with the European Union and NATO? The paper discusses Ukraine after the Revolution of Maidan, as a country that, despite the Russian occupation, still continues its path towards the West. Here you will be acquainted with the opinions and assessments that will more clearly show the current reality in different contexts.

Natia Imnaishvili

სარჩევი

ანოტაცია.....2

Annotation.....3

შესავალი.....5

თავი I. - უკრაინის საგარეო პოლიტიკის გეოპოლიტიკური ასპექტები „მაიდანის რევოლუციის“ შემდეგ.....13

1.1. უკრაინის საგარეო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები და მახასიათებლები.....13

1.2. უკრაინა-რუსეთის ურთიერთობების გეოპოლიტიკური ასპექტები.....21

1.3. უკრაინა და აღმოსავლეთ ევროპული რეგიონული უსაფრთხოება - ევროკავშირის „აღმოსავლეთ ევროპის“ ინიციატივა და სუამი.....29

თავი II. - უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები.....40

2.1. უკრაინის ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკის კურსის კონცეფტუალური მომენტები: გზა ნატოსკენ.....40

2.2. უკრაინა-ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა: სტრატეგიული თანამშრომლობიდან ასოცირებულ წევრობამდე.....47

2.3. უკრაინის საგარეო პოლიტიკა რუსული „ჰიბრიდული ომის“ კონტექსტში.....56

კვლევა და მისი შედეგები.....66

დასკვნა.....69

ბიბლიოგრაფია.....72

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა. 2013-2014 წლებში, უკრაინაში, უმნიშვნელოვანესი პროცესები მიმდინარეობდა. „მაიდანის რევოლუცია“, ეს იყო სამოქალაქო პროტესტის ტალღა, რომელიც უკრაინის ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შეჩერებამ გამოიწვია. ამასთანავე, აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ სხვადასხვა სფეროში დარღვევებს, კორუფციასა და სოციალურ უსამართლობას. 29-30 ნოემბერს ოპოზიციონერი აქტივისტების დაშლის შემდეგ, სამოქალაქო პროტესტის ტალღამ უკვე პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაც მოიცვა. ადამიანები აპროტესტებდნენ იმ კანონებს, რომლითაც გამკაცრდა სასჯელი იმათთვის, ვინც იღებდა მასობრივ არეულობებში მონაწილეობას. ეს იყო ის გარდამტეხი ნაბიჯი, რომელმაც აქციების ტალღა გაამძაფრა, კიევს გასცდა და მთელი უკრაინის ტერიტორია მოიცვა.

ამ ყველაფრის ფონზე და საპირწონედ, ოპოზიციამ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები მოითხოვა. უკრაინის დასავლეთ ნაწილში კი ოპოზიციის აქტივისტებმა სახელმწიფო ინსტიტუტების შენობები დაიკავეს. ამან, იმდროინდელ პრეზიდენტს უკან დახევისკენ უბიძგა, მან დაითხოვა მინისტრთა კაბინეტი, თუმცა პროტესტი მაინც არ შეწყდა.

18 თებერვალს მომიტინგეები პოლიციას დაუპირისპირდნენ, სადაც იყო მსხვერპლიც. 21-ში კი იანუკოვიჩმა ხელი მოაწერა უკრაინის კრიზის რეგულაციის შეთანხმებას და კიევიც დატოვა. საყურადღებო იყო ის, რომ ახალმა უკრაინულმა ხელისუფლებამ შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისგან აღიარება მოიპოვა. ეს მოვლენა გახდა ერთ-ერთი გარდამტეხი უკრაინული მომავლისა.

უკრაინის დღევანდელი საგარეო პოლიტიკა, ერთმნიშვნელოვნად მიმართულია დასავლეთისკენ, ნატოში გაწევრიანებისა და ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ. ევროპის უდიდესი ქვეყანა, მიუხედავად დღევანდელი რეალობისა (რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაცია), მაინც შეუპოვრად მიიკვლევს გზას ევროპისკენ და კატეგორიულად არ სურს საბჭოთა კავშირში დაბრუნება.

1991 წელს უკრაინა დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, მან დიდი გზა განვლო იმისთვის, რომ დემოკრატიულ ქვეყანად ჩამოყალიბებულიყო, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული საგარეო კურსი ექნებოდა. უკრაინელმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ის ორი უმსხვილესი გეოპოლიტიკურად აქტიური სუბიექტის: აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის დაპირისპირების არენადაა ქცეული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით რუსეთი აგრძელებს უკრაინის ანექსიას.

2014 წლის 18 მარტს, რუსეთის ფედერაციამ მოახდინა უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის ანექსია, რომელიც რუსეთმა ფედერაციაში შეიყვანა, როგორც ყირიმის ფედერაციული ოლქი და ის დე-ფაქტოდ გამოაცხადა. ამ ყველაფერს წინ უძღოდა 2014 წლის რევოლუცია, რომელიც მიმართული იყო უკრაინის იმდროინდელი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩისა და მისი პარტიის წინააღმდეგ. როგორც უკრაინა აცხადებს, ყირიმის ანექსიით მოხდა 1991 წლის შეთანხმების დარღვევა, თუმცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პუტინის განცხადებით, ეს იყო ხალხის გადაწყვეტილება, რომელიც ჩატარებულ რეფერენდუმში გამოჩნდა.

ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ უკრაინის განვლილი გზის მიუხედავად, ახლანდელი რეალობისა და იმისა, თუ რა საფრთხის წინაშე დგას დღეს ის, მას მკვეთრად გამოხატული საგარეო კურსი აქვს. ევროპის უდიდესი ქვეყანა, დღესაც ყურადღების ქვეშაა, რადგან როგორც ჩვენთან, ასევე მათთან გრძელდება ტერიტორიების ანექსია რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც კვლავინდებურად იბრძვის საბჭოთა კავშირის დაბრუნებისკენ.

ნაშრომის კვლევის მიზანია რამდენად მნიშვნელოვანი და სერიოზული განაცხადი აღმოჩნდა უკრაინის „მაიდანის რევოლუცია“ და რამდენად მოახერხა ევროპის უდიდესმა ქვეყანამ ევრაზიული გზიდან ევროატლანტიკური გზისკენ სვლა.

ნაშრომის მიზნის მისაღწევად, განვიხილავთ უკრაინის საგარეო პოლიტიკას, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ჭრილში, ასევე ვისაუბრებთ მის ევროპულ გზაზე.

საკვლევი კითხვები:

1. რა ფაქტორებმა იმოქმედა უკრაინის საგარეო პოლიტიკაზე „მაიდანის რევოლუციის“ შემდეგ ?
2. როგორია ქვეყნის ტრანსფორმაცია 2014 წლიდან 2020 წლამდე ?
3. როგორია უკრაინის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა ?
4. რა ხელის შემშლელი საფრთხეები გამოიკვეთა უკრაინის ევროპულ გზაზე ?

ჰიპოთეზა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა აირჩიეს მკაფიო კურსი. უკრაინის შემთხვევაში ეს აღმოჩნდა დასავლური ვექტორი, სადაც ის პირდაპირი სვლით ცდილობს თავის დამკვიდრებას. მიუხედავად ამ კავშირის დაშლისა, რუსეთი ყოველთვის ცდილობს ყოფილი წევრების მმართველობაში ჩარევას და ხშირ შემთხვევაში ის უკიდურეს ხერხს, ანექსიასაც მიმართავს. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ დასავლეთი მხარს უჭერს კონკრეტულად უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, მის გაწევრიანებას ნატოში, ეს კი ძალაა უკრაინისთვის, რომელსაც დღევანდელი რეალობის მიუხედავად, უკვე არჩეული აქვს

საგარეო-პოლიტიკური კურსი. ერთ-ერთი გარდამტეხი მოვლენა „მაიდანის რევოლუციაც“ იყო, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახა უკრაინელი ხალხის ნება და სურვილი.

კვლევის საგანია უკრაინის საგარეო-პოლიტიკური კურსი „მაიდანის რევოლუციის“ შემდგომ.

კვლევის ობიექტია უკრაინის საგარეო პოლიტიკა, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან (საქართველო, რუსეთი) მიმართებაში, ასევე მისი პრო-დასავლური (ნატო, ევროკავშირი) გზა.

კვლევის მეთოდოლოგია.

ჰიბრიდული ომის თეორია - ჰიბრიდული ომი, რომელიც თავის თავში მოიაზრებს, როგორც სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ასევე მრავალ არასამხედრო გზებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში „საინფორმაციო ომამდეც“ დადის. ჰიბრიდული ომის ფენომენი აქტიურ სათავეს იღებს რუსეთი-უკრაინის მოვლენების შემდეგ.

თავდაცვითი რეალიზმის მეთოდები - თავდაცვითი რეალიზმის მეთოდები, აქცენტს აკეთებს სახელმწიფოს მიზანზე, მოახდინოს საკუთარი თავდაცვის, ეროვნული უსაფრთხოების მაქსიმალიზაცია. თავდაცვითი რეალიზმის მთავარი წვლილი ისაა, რომ მნიშვნელობას ანიჭებს რევიზიონისტური სახელმწიფოების ქცევას.

ურთიერთდამოკიდებულების თეორია - ეს თეორია საერთაშორისო ურთიერთობათა პლურალისტური ხედვის პირმშოა. ურთიერთდამოკიდებულების თეორიის თანახმად, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ბევრად უფრო რთული და მრავალფეროვანი პროცესია, ვიდრე ამას პოლიტიკური რეალიზმის კონცეფცია გვიხატავს.

ძალთა ბალანსის თეორია - ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს

ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. ამის აუცილებელი პირობა კი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობაა. თავიანთი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ერთად მოქმედებენ ხოლმე, რათა დაუპირისპირდნენ იმ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს), რომელიც საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს.

პოლიტიკური რეალიზმის თეორია - პოლიტიკური რეალიზმი სხვა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისგან განსხვავებით ხატავს საერთაშორისო ურთიერთობების სევდიან სურათს. საერთაშორისო ურთიერთობები დანახულია, როგორც მკაცრი კონკურენცია ქვეყნებს შორის, რომლებსაც არანაირი მიზეზი არ აქვთ ერთმანეთს მიენდონ მაშინ, როდესაც მათი არსებობის არსი თვითგადარჩენაა, ისეთ გარემოში, სადაც ერთის დანაკარგი მეორის მონაპოვარია.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის სხვადასხვა მეთოდი. საკითხის ფართო და მრავალფეროვნად განხილვისთვის მოვიძიებ უკვე არსებულ ლიტერატურას, სტატიებს, დავეყრდნობი პირველწყაროებს, განვიხლავ კომენტარებსა და მოსაზრებებს. გავაანალიზებ მკვლევარების ნაშრომებს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ეხება საკვლევ საკითხს.

აქვე შეხვდებით, შედარებით ისტორიულ, სიტუაციურ, მონაცემთა ანალიზს. მკითხველს საშუალება ექნება სიღრმისეულად გაეცნოს საკვლევ საკითხს. დასაწყისისთვის ამ მოცემულობას განვიხილავ ისტორიულ ჭრილში. მოვიყვან თეორიულ და პრაქტიკულ მაგალითებს. მეორე თავის შემთხვევაში ვისაუბრებ უკრაინის საგარეო პოლიტიკის განვითარების გზებზე, სადაც განხილული იქნება, როგორც არსებული ლიტერატურა,

ასევე სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები. კვლევის რაოდენობრივი მეთოდის ჭრილში შემოგთავაზებთ კონტენტ ანალიზს.

ეს ყველაფერი მოგვცემს საშუალებს, დავინახოთ, რამდენად რეალურია უკრაინის დღევანდელი რეალობა და რამდენად შეუძლია მას ევროპის გზაზე სვლა. ამის გასაგებად, მოვიყვან მაგალითებს, სტატიებს, კომენტარებს, მოვლენებს, რომელიც მოგვცემს საერთო სურათს იმისა, თუ რა ხდება დღეს და რა იქნება ხვალ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომი განკუთვნილი იქნება იმ ადამიანებისთვის, სტუდენტებისთვის, რომელებიც დაინტერესებულნი არიან უკრაინის საგარეო პოლიტიკით, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან, ასევე ნატოსა და ევროკავშირთან მიმართებაში. აქ მოცემული ინფორმაცია, მოსაზრებები თუ კონკრეტული საკითხები, შესაძლებელია სამომავლო დაინტერესების საგნადაც იქცეს.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. ნაშრომის წერისას გამოყენებული იქნა საკმაოდ ფართო სამეცნიერო ლიტერატურა. დოკუმენტები, პოლიტიკოსების მოხსენებები თუ კომენტარები, სხვადასხვა ოფიციალურ საიტებზე განთავსებული საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაციები.

ასევე, საინტერესო აღმოჩნდა უცხოელი შემფასებლების მიერ მოყვანილი მაგალითები, რომლებიც მოიცავს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში კვლევებს, ინფორმაციულ ომებს, მათ გავრცელებას და რაღა თქმა უნდა თავის მხრივ, პროპაგანდასაც, რომელიც წამყვან როლს თამაშობს მოცემული საკითხის სიცხადეში, ადამიანების ინფორმირებულობასა და სიმართლის ტირაჟირებაში.

გაანალიზებული იქნა ისეთი პირველწყაროები, როგორებიცაა უკრაინელი პოლიტიკოსების გამოსვლები, ასევე ქართველი და ევროპელი მაღალჩინოსნების კომენტარები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

1. **ხუციშვილი ილია, რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოსა და უკრაინაში, New Vision University, 2019** - ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მიმართულებას ინფორმაციული ომის წარმოება წარმოადგენს, ვინაიდან ინფორმაციული ომის მიზანი სწორედ ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენაა. ნაშრომში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსა და უკრაინაში წარმოებული ჰიბრიდული ომის პირობებში, რუსეთის სპეცსამსახურების დაინტერესების სფეროები, მიზნები, მისწრაფებები და ამოცანების გათვალისწინებაა.

2. **Ofer Fridman, Russian "Hybrid Warfare": Resurgence and Politicization, 2018** - ბოლო ათწლეულის განმავლობაში, „ჰიბრიდული ომი“ გახდა ახალი, მაგრამ საკამათო ტერმინი აკადემიურ, პოლიტიკურ და პროფესიულ სამხედრო ლექსიკონებში, რომელიც მიზნად ისახავდა გარკვეული სახის შერევას სხვადასხვა სამხედრო და არასამთავრობო საშუალებებსა და დაპირისპირების მეთოდებს შორის. ამ ძალზე აქტუალურ წიგნში ოფერ ფრიდმანი გვთავაზობს ჰიბრიდულ ომზე კონცეპტუალური დებატების გარკვევას. რატომ ამბობენ რუსი ექსპერტები იმას, რომ დასავლეთი აწარმოებს „ჰიბრიდულ ომს“ რუსეთის წინააღმდეგ და რას გულისხმობენ ისინი მასში? რატომ აცხადებენ დასავლელი დამკვირვებლები, რომ კრემლი მონაწილეობს ჰიბრიდულ ომში? ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს, სწორედ ამ ნაშრომში ვპოულობთ.

3. **Elias Götz, Russia, the West, and the Ukraine Crisis, 2018** - ეს წიგნი შეისწავლის უკრაინის კრიზისის მიზეზებსა და შედეგებს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ურთიერთობებზე დასავლეთთან. ამ მიზნით, იგი აერთიანებს საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებს და სფეროს სპეციალისტებს.

წიგნი ცდილობს სტიმულირება გაუწიოს დიალოგს სხვადასხვა პოზიციებს შორის და ხელი შეუწყოს ჩვენი საკითხის გაგებას იმ თემის შესახებ, რომელიც შექმნის ევროპული უსაფრთხოების წესრიგს მრავალი წლის განმავლობაში.

4. ЕФРЕМОВА Марина Викторовна, РОЛЬ ВНЕШНЕГО ФАКТОРА В РОССИЙСКО-УКРАИНСКИХ ОТНОШЕНИЯХ, 2009 - უკრაინა მდებარეობს დიდი გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთაზე. უკრაინამ არაერთხელ განაცხადა მისი ევროპული არჩევანის შესახებ. შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური სტრატეგია ფოკუსირებულია ისეთ ამოცანებზე, როგორიცაა: პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უკრაინის „დემოკრატიის ექსპორტიორებად“ გადაკეთება, ნატოს გაფართოება აღმოსავლეთში. ეს ნაშრომი გვაძლებს საშუალებას გავაანალიზოთ რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობები.

თავი I - უკრაინის საგარეო პოლიტიკის გეოპოლიტიკური ასპექტები „მაიდანის რევოლუციის“ შემდეგ

1.1 უკრაინის საგარეო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები და მახასიათებლები

სანამ უშუალოდ უკრაინის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვას დავიწყებ, ნიშანდობლივად მივიჩნევ, ვახსენო უკრაინის, აწ უკვე დამოუკიდებელი სახემწიფოს ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი - „მაიდანის რევოლუცია“. როგორც წესი, რევოლუცია გულისხმობს ცვლილებებისკენ სწრაფვის მოთხოვნას საზოგადოების მხრიდან, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც პოლიტიკური ხასიათის, ასევე, კულტურული აღმავლობის, ტექნოლოგიური პროგრესის და მრავალი სხვა შინაარსის მატარებელი.

„მაიდანის რევოლუცია“ იმ პოლიტიკური რევოლუციების სიას განეკუთვნება, რომელთა მიზანიც გახლდათ ქვეყნის უკეთესობისკენ სწრაფვის მოთხოვნა ნებისმიერი თვალსაზრისით. როგორც ვიცით, პოლიტიკური რევოლუციები იწვევს, როგორც სახელმწიფოს ხელისუფლების ცვლილებას, ასევე, მისი აპარატის შემადგენლობის ცვლილებასაც კი. უკრაინის „მაიდანის რევოლუციის“ მიზანი ქვეყნის მართვის სადავეებიდან ოლიგარქიის ჩამოშორება და დასავლური ტიპის დემოკრატიული საზოგადოებისკენ სწრაფვა იყო. „მაიდანმა“ და მისმა ლიდერებმა მოინდომეს არსებული სისტემის დემონტაჟი, რაც, რა თქმა უნდა, გარე ძალების შესაბამისად წარიმართა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ რევოლუციამ შედეგი ნამდვილად გამოიღო. კორუმპირებული ოლიგარქი ქვეყანას ჩამოშორდა და მართვის სადავეებიც ახალმა პრო-დასავლურმა

გუნდმა აიღო ხელში, თუმცა აქვე იმასაც გავუსვამ ხაზს, რომ რუსეთი დღესაც არ უშვებს შანს ხელიდან, იმისათვის, რომ უკრაინაში დესტაბილიზაცია მოახდინოს.

განსაკუთრებულად საინტერესოა, დღესდღეისობით, უკვე „მაიდანის რევოლუციის“ შემდეგ, როგორ, რა ფორმით და რა დამოკიდებულებებით ახორციელებს უკრაინა მის შიდა და საგარეო პოლიტიკას. მეტი ინფორმირებულობისთვის, საინტერესო იქნება გავეცნოთ ნაწყვეტს სტატიიდან „უკრაინის დაშლის შიდა და საგარეო პოლიტიკური მიზეზები“, სადაც საუბარია უკრაინის პოლიტიკური სისტემის თავისებურებებზე.

უკრაინის პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედების, მეტად სპეციფიკურ სახეს წარმოადგენდა. მისი სპეციფიკურობა უკრაინის, ისტორიულად ჩამოყალიბებულ, სოციალურ სტრუქტურას უნდა მივაწეროთ. როგორც ბევრს მოეხსენება, უკრაინა სხვადასხვა დროს შეკოწიწებული ტერიტორიების გაერთიანებას წარმოადგენს, რომლებშიც ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურული ელემენტების მქონე ხალხები ცხოვრობენ.

კომუნისტების მიერ, ნაციონალური პოლიტიკის გატარების მიუხედავად, რომელიც თავის მხრივ გულისხმობდა უკრაინიზაციის და კორენიზაციის პოლიტიკას, ვერ მოხერდხა ერთიანი უკრაინული ნაციის ფორმირება, ვინაიდან მათი აზროვნების სტილი, გარემოს აღქმის უნარი და მისგან გამომდინარე ცხოვრების წესი განსხვავებული ისტორიული განვითარების პირობებში ფორმირებული კულტურული დომინანტის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამ ყველაფერმა კი ორი მსხვილი სუბკულტურის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ერთის მხრივ, გერმანო-რომანული და კათოლიკური ცივილიზაციის გავლენის შედეგად, დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები ხალხებისგან, ჩამოყალიბდა მსხვილი ეთნოკულტურული სეგმენტი, რომელიც ძალიან განსხვავდება სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრები ეთნო-კულუტურული სეგმენტისგან, რომლის

ფორმირებაშიც შესაბამისად დიდი ზეგავლენა იქონია რუსულმა-მართლმადიდებლურმა ცივილიზაციამ. აქვე, უპრიანი იქნება წამყვანი უკრაინელი პოლიტოლოგის მიხაილ პოგრებენსკის ინტერვიუდან ციტატის მოყვანა: „უნდა მოხდეს აღიარება იმ ფაქტის, რომ ჩვენ ვართ ორშემადგენლობიანი უკრაინული ნაცია.“[1] (ირაკლი ბენუა, 2014)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1991 წლის შემდეგ, როდესაც უკრაინა უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, საზოგადოებრივი სტრუქტურა ჩამოყალიბდა ორი მსხვილი ეთნიკური სუბკულტურის არსებობის პირობებში, რაც ნიშნავს იმას, რომ სოციალური სტრუქტურის ასეთმა ხასიათმა, თავისი წილი გავლენა იქონია დამოუკიდებლობის მოპოვების, შემდგომი უკრაინის პოლიტიკური სისტემის ფორმირებაზე. საერთოდ, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა, სოციალური სისტემის ზედნაშენს წარმოადგენს, ანუ, როგორი სახისაც იქნება საზოგადოებრივი სტრუქტურა, ანალოგიურ და მის შესაბამის ფორმებს ღებულობს ისიც.

უკრაინა და საქართველო

უკრაინისა და საქარველოს დამოკიდებულება, რომ საკმაოდ მეგობრულია, ამაზე უკვე აღარავინ დაობს. ამას ისიც ამტკიცებს, რომ 1991 წლის 12 დეკემბერს, საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა. ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების მარეგულირებელი მთავარი დოკუმენტი კი არის 1993 წლის 13 აპრილის ხელშეკრულება უკრაინასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. კიდევ ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი,

[1] ირაკლი ბენუა, უკრაინის დაშლის შიდა და საგარეო პოლიტიკური მიზეზები, 2014, გვ.1. https://politicano.blog/2014/12/28/%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1/?fbclid=IwAR3qFUtSQd49F53wE0r1LWbSf44FT0-ZUFT7OlfUY-rMypwg5YwSo7rNOrE (ბოლო ნახვა: 10.06.2021)

რომელიც უკრაინა-საქართველოს შორის გაფორმდა, სტრატეგიული ხასიათის ურთიერთობების განვითარების შესახებ 2005 წლის 25 მარტის დეკლარაციაა, სადაც ნათლად არის ნათქვამი, რომ „ორ ქვეყანას შორის ვითარდება სტრატეგიული ურთიერთობები“.

გარდა ამ დოკუმენტებისა, ისიც უნდა ითქვას, რომ უკრაინა თანმიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს ამ ორი ქვეყნის მშვიდობიან და მეგობრულ დამოკიდებულებას.

ნიშანდობლივია იმის ხაზგასმაც, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, 2008 წლის 7 მარტს, სპეციალური განცხადებით, აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის მიმართებაში, სანქციების მოხსნის რუსეთის განზრახვის შესახებ, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა გამოთქვა.

უკრაინულ-ქართული ურთიერთობების მნიშვნელოვანი მომენტი იყო უკრაინის პრეზიდენტის განცხადება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე (2010 წლის აპრილი), სადაც მან მოითხოვა კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც კონფლიქტის ტერიტორიების შესაბამისი სტატუსის მინიჭების საშუალებას მისცემს. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მეთაურმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ უკრაინა არ ცნობს საქართველოს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობას, უკრაინულ-ქართულმა ურთიერთობებმა დამატებითი იმპულსი მიიღო და გახდა უფრო კონკრეტული და პრაგმატული.

უკრაინისა და საქართველოს პოზიციების სიახლოვე, მათ შორის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს მათ მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ევროპულ და რეგიონალურ ორგანიზაციებში: გაერო, ევროპის საბჭო, ეუთო, BSEC, სუამი.

საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, უკრაინა აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს იმ საკითხების განხილვის, რომლებიც

დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებასთან.[2] (უკრაინის საელჩო საქართველოში, 2020)

გარდა ამისა, უკრაინასა და საქართველოს შორის აქტიური თანამშრომლობა 2014-2017 წლებშიც ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველომ უკრაინის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის აგრესია დაგმო, ასევე არ ცნო „ყირიმის რეფერენდუმის" შედეგები და ამავდროულად, თანმიმდევრულად მხარს უჭერდა უკრაინის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს მხრიდან მხარდაჭერას, 2020 წელს, უკრაინის საელჩო საქართველოში გამოეხმაურა.

2020 წელს უკრაინის პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია გამოიკვეთა შემდეგ ღონისძიებებში: საქართველოს პრეზიდენტმა ს. ზურაბიშვილმა (09.01), პრემიერ მინისტრმა გახარიამ და საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ზალკალიანმა (10.01) სატელეფონო საუბრებისა და ოფიციალური მიმოწერის დროს გამოხატეს სამძიმარი და მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს და დაღუპულთა ოჯახებს 2020 წლის 8 იანვარს თეირანის მახლობლად UIA- ს სამგზავრო თვითმფრინავის ბოინგ-737-ის ჩამოვარდნის გამო და გამოთქვეს მზადყოფნა მიაწოდონ უკრაინას ყველა საჭირო დახმარება; საქართველოს პრეზიდენტმა ს. ზურაბიშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ზალკალიანმა კომენტარი გააკეთეს Twitter– ის გვერდებზე, სადაც დაგმეს პრორუსული მებრძოლების თავდასხმები გაერთიანებული ძალების პოზიციაზე ზოლოტოის ოლქში და უცვლელად უჭერდნენ მხარს უკრაინის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას (18.02); უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. ბოდნარმა გამართა ორმხრივი შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ვ. მახარაბიშვილთან ეროვნული კოორდინატორების საბჭოს ODER-GUAM შეხვედრის ფარგლებში, რომლის

[2] უკრაინის საელჩო საქართველოში, პოლიტიკური ურთიერთობები უკრაინასა და საქართველოს შორის, 2020, გვ.1. https://georgia.mfa.gov.ua/ka/spivrobitnytstvo/political?fbclid=IwAR3kEOIt3SHc3UjslfgQNG9vTP7It7AVmtyQBJ8CJrH7d9NAfBoRsjD3YMU (ბოლო ნახვა: 10.06.2021)

დროსაც განიხილეს უკრაინისა და საქართველოს მაღალი დონის სტრატეგიული საბჭოს დებულების შესრულება (27-28.02); იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვ. ვასილიკი სამუშაო ვიზიტით ეწვია თბილისში (18-19 თებერვალი), სადაც ორმხრივი შეხვედრა გამართა იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილესთან, მ. სარჟველაძესთან და განიხილა უკრაინასა და საქართველოს შორის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები; ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკრაინის პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენელი ა. კორინევიჩი და კრემლის ყოფილი პოლიტპატიმარი ო. სენცოვი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში (18-21 თებერვალი) და მონაწილეობა მიიღეს საელჩოს მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაში „დეოკუპაცია: უკრაინისა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევა“, რომელიც ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი ოკუპაციის მე-6 წლისთავს მიეძღვნა; უკრაინის თავდაცვის მინისტრი ა.ტარან ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში (19-21.08), რის შედეგადაც მიღწეულ იქნა მრავალი შეთანხმება უკრაინასა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის თავდაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმის პრაქტიკული იმპლემენტაციის შესახებ. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ბოდნარი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში (15.09), რომლის ძირითადი შედეგი იყო ქართული მხარის მზადყოფნა მხარი დაუჭიროს უკრაინის კანდიდატურას BSEC– ის მუდმივი საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე, აგრეთვე ხელი შეუწყოს ონლაინ რეჟიმში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის დეპარტამენტების დონეზე კონსულტაციების გამართვას.[3] (უკრაინის საელჩო საქართველოში, 2020)

[3] უკრაინის საელჩო საქართველოში, პოლიტიკური ურთიერთობები უკრაინასა და საქართველოს შორის, 2020, გვ.1. https://georgia.mfa.gov.ua/ka/spivrobitnytstvo/political?fbclid=IwAR3kEOIt3SHc3UjslfgQNG9vTP7It7AVmtyQBJ8CJrH7d9NAfBoRsjD3YMU (ბოლო ნახვა: 10.06.2021)

ასევე, 2014-2015 წლებში საქართველოს პარლამენტმა უკრაინის მხარდასაჭერად ოთხჯერ მიიღო რეზოლუციები. აღვნიშნავ იმასაც, რომ საქართველო მხარს უჭერდა და თანაავტორობდა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, რომლებიც გახლდათ: „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა“ (2014 წლის 27 მარტი), „სიტუაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქალაქ სევასტოპოლში (უკრაინა)“ (2016 წლის 19 დეკემბერი), „კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა ტერაქტებისგან“ 13.02.2017) და სხვები.

ასევე საქართველოს და უკრაინას შორის გაფორმდა არაერთი ორმხრივი ხელშეკრულება. ესენია: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ შეთანხმება (ხელმოწერის თარიღი 06.08.1992. ძალაში შესვლის თარიღი 06.08.1992); საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულება (ხელმოწერის თარიღი 13.04.1993. ძალაში შესვლის თარიღი 07.09.1994);

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის საზღვაო-სავაჭრო ნაოსნობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (ხელმოწერის თარიღი 13.04.1993. ძალაში შესვლის თარიღი 01.08.1994) და სხვა.

უკრაინა და რუსეთის ფედერაცია

როდესაც უკრაინისა და რუსეთის პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ ვახსენოთ 2020 წლის 21 თებერვალს, რუსეთის პრეზინდეტის ვლადიმერ პუტინის მიერ გაკეთებული ინტერვიუ, რუსეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „TACC“-ისთვის, სადაც ვლადიმერ პუტინმა მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსები და უკრაინელები ერთ ხალხს წარმოადგენს, რაც მტკიცდება იმით, რომ XIII საუკუნემდე ამ ორი ხალხის ენაში არ იყო არანაირი განსხვავება, XV

საუკუნემდე კი აღმოსავლეთ სლავები საკუთარ თავს რუსებად მოიხსენიებდნენ.

ინტერვიუს დროს პუტინმა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა უკრაინელების შესახებ:

XI, XII, XIII საუკუნეებამდე ჩვენ არ გვქონდა განსხვავება ენაში და პოლონიზაციის შედეგად, XVI საუკუნეში გაჩნდა პირველი ენობრივი განსხვავებები.

• უკრაინელებს ეძახდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს საზღვრის პირას ცხოვრობდნენ. უკრაინელები იყვნენ ფსკოვში, ურალში, უკრაინელებს ეძახდნენ იმათაც, ვინც სამხრეთით ყირიმის ხანის შემოტევებს იგერიებდნენ. ირგვლივ სულ უკრაინელები იყვნენ.

• XIV-XV საუკუნეებამდე ადამიანები, რომლებიც რუსეთის, პოლონეთისა და რეჩ- პოსპოლიტას (პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობა) ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რუსებად მოიხსენიებოდნენ.

• უკრაინული ფაქტორის გათამაშება პირველ მსოფლიო ომამდე ავსტრიულმა სპეცსამსახურებმა დაიწყეს.

• არსებობს მხარეები, რომელთა ინტერესში უკრაინისა და რუსეთის გაყოფაა.

• უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოსგან გამოყოფა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის დანგრევაა.[4] (მამუკა კომახია, 2020)

განსაკუთრებულად საინტერესოა ექსპერტთა მოსაზრებები, ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ჟურნალისტმა, მამუკა კომახიამ შეაგროვა.

[4] მამუკა კომახია, პოსტ საბჭოთა სივრცეში რუსეთის პოლიტიკის მიმოხილვა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, გამოცემა 3, 2020, გვ.1.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პუტინის ხედვა ფსევდოისტორიული, პარანოიდალური და კონსპიროლოგიური წარმოდგენების ნაზავია, რომელსაც საერთო არ აქვს ისტორიულ ფაქტებთან. მათი აზრით, 2012 წლამდე რუსეთში ისტორიის საბჭოთა ხედვა იყო გავრცელებული, რომლის მიხედვითაც, უკრაინელები ცალკე ხალხი იყო, რომელიც რუსებთან გაერთიანდა. 2012 წლის შემდეგ კი კრემლი დაუბრუნდა ძველ იმპერიულ ხედვას, რომლის მიხედვითაც ველიკორუსები, მალორუსები და ბელორუსები ერთი რუსი ხალხის ნაწილია.[5] (მამუკა კომახია, 2020)

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი პუტინისთვის? საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ პუტინისთვის უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ფაქტობრივად არ არსებობს. გავრცელებულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2008 წელს პუტინმა აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს უთხრა, რომ „უკრაინა სახელმწიფოც კი არ არის“. აღსანიშნავია იმის ხსენებაც, რომ პუტინისთვის ისეთი უკრაინაა მისაღები, რომელიც დამოუკიდებელი მხოლოდ ფორმალურად შეიძლება იყოს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა რუსული ნაწილი იქნება. პუტინი დარწმუნებულია იმაში, რომ რუსები და უკრაინელები ერთი ხალხია და მათი განცალკევება დასავლეთის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც რუსეთის მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევას ისახავს მიზნად.

1.2. უკრაინა-რუსეთის ურთიერთობების გეოპოლიტიკური ასპექტები

უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობები მას შემდეგ მიდის მრუდე გზით, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთი პოსტ-საბჭოთა სივრცეს კვლავინდებურად საკუთარ

[5] მამუკა კომახია, პოსტ საბჭოთა სივრცეში რუსეთის პოლიტიკის მიმოხილვა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, გამოცემა 3, 2020, გვ.1.

ტერიტორიად მოიაზრებს, სადაც ცდილობს დაამყაროს გავლენები. შესაბამისად, მისთვის მიუღებელია ის გარემოება, რომ რეგიონში დასავლეთი უფრო აქტიურად იკიდებს ფეხს და პოზიციებს აძლიერებს.

უკრაინასა და რუსეთს შორის იდეალური ურთიერთობები არც არასდროს ყოფილა, თუმცა აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც უკრაინაში შეიარაღებული დაპირისპირება მიმდინარეობს. ეს ყველაფერი შედეგია იმისა, რა გადაწყვეტილებაც მიიღო ქვეყანამ, ანუ მას შემდეგ რაც ის რუსულ ორბიტას ჩამოშორდა და დაიწყო დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, რუსეთმაც უხეშად ჩარევა დაიწყო მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. ამის მაგალითია ყირიმის ანექსია, რომელიც ამ წუთებშიც გრძელდება.

ყირმის ანექსია 2014 წელს დაიწყო, მაშინ როცა უკრაინაში მნიშვნელოვანი მოვლენები მიმდინარეობდა. „მაიდანის რევოლუცია“ იყო ის, რაც გარდამტეხი აღმოჩნდა უკრაინული მომავლისთვის. უკრაინის უმაღლესმა რადამ იმჟამინდელი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი გადააყენა, ამის შემდეგ რუსეთი კიდევ უფრო გააქტიურდა. თავიდან ის მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით შემოიფარგლებოდა, თუმცა შემდეგ ყირიმში პრო-რუსული ძალების აქციებიც დაიწყო. მოვლენების ისტორიული ხაზი თათია ნიკვაშვილმა, თავის სტატიაში, სახელწოდებით „5 წელი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიიდან“ წარმოგვიდგინა.

2010 წელს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა პრო-რუსული ორიენტაციის მქონე ვიქტორ იანუკოვიჩმა. მისი მთავარი მოწინააღმდეგე იულია ტიმოშენკო დაადანაშაულეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში და საბოლოოდ, 2011 წლის ოქტომბერში თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს;

2013 წლის 21 ნოემბერს იანუკოვიჩის კაბინეტმა უარი განაცხადა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე და დაიწყო მოლაპარაკებები რუსეთთან აქტიური თანამშრომლობის შესახებ. ამას მოჰყვა გამოსვლები

კიევში, კრიზისის მორიგი გამწვავება კი პარლამენტის მიერ ანტი-საპროტესტო კანონის მიღებამ გამოიწვია;

2014 წლის 23 თებერვალს რუსეთის მხარდამჭერი აქციები გაიმართა ყირიმის ქალაქ სევასტოპოლში;

24 თებერვალს პრო-რუსულმა დემონსტრანტებმა გადაკეტეს პარლამენტი და მოითხოვეს რეფერენდუმი ყირიმის დამოუკიდებლობის თაობაზე;

27-28 თებერვალს მძიმედ შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, რომლებსაც „მწვანე კაცუნები“ შეარქვეს, ყირიმში 2 აეროპორტი და ადმინისტრაციული შენობები დაიკავეს; რუსეთის ფედერაციის რაკეტების გამშვებმა გემმა დაბლოკა ბალაკლავას ნავსადგური, რუსეთის რვა სამხედრო შვეულფრენმა კი ანაპადან სევასტოპოლში გადაინაცვლა. უკრაინის ლიდერებმა რუსეთისგან შეტყობინება მიიღეს, რომ თუკი უკრაინა ყირიმის ნახევარკუნძულს რუსეთს არ გადასცემდა, ეს უკანასკნელი მთელი ქვეყნის ოკუპირებას მოახდენდა;

1 მარტს რუსეთის დუმამ დაამტკიცა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მოთხოვნა, უკრაინაში რუსული ინტერესების დაცვის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით;

11 მარტს ყირიმის უმაღლესი საბჭოსა და სევასტოპოლის საქალაქო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი რეზოლუცია, რითიც მათ ყირიმის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს;

16 მარტს, პრო-რუსი სეპარატისტების ორგანიზებით ჩატარდა რეფერენდუმი, რომელიც ორ კითხვას ითვალისწინებდა - „უჭერთ თუ არა მხარს ყირიმის შეერთებას რუსეთთან, რუსეთის ფედერაციის სუბიექტად? უჭერთ თუ არა მხარს ყირიმის რესპუბლიკის 1992 წლის კონსტიტუციის ამოქმედებას და ყირიმის, როგორც უკრაინის ნაწილის სტატუსს?“ ხმის მიმცემთა დაახლოებით 96%-მა ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას დაუჭირა მხარი. რეფერენდუმი და, შესაბამისად, მისი შედეგები ლეგიტიმურად არ ცნო გაერომ, ევროკავშირმა და საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის, საქართველომ;

2014 წლის 18 მარტს ვლადიმირ პუტინმა „ყირიმის რესპუბლიკის აღიარებასთან დაკავშირებით“ ბრძანებას მოაწერა ხელი, შედეგად, ანექსირებული ყირიმი სევასტოპოლთან ერთად რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დე ფაქტოდ შევიდა. აპრილში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რეზოლუცია მიიღო, რომლითაც რუსეთის მიერ ყირიმის აგრესია დაგმო: „არ მომხდარა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება და ასევე არ არსებობდა პირდაპირი საფრთხე ეთნიკურად რუსი უმცირესობისთვის, განსაკუთრებით, ყირიმის შემთხვევაში.“ თუმცა, უკვე სექტემბერში პუტინმა ყირიმისა და სევასტოპოლის ხელმძღვანელების პოსტზე 3-3 კანდიდატურა წარადგინა.[6] (თათია ნიკვაშვილი, 2019)

უფრო ადრე, ბევრი წლის წინ, 1783 წელს, რუსეთის იმპერიამ მოახდინა ყირიმის სახანოს ანექსია.

1783 წლის 19 აპრილს, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ ხელი მოაწერა მანიფეტს, რომელიც გულისხმობდა რუსეთის იმპერიისთვის ყირიმის მიერთებას. შემდეგ წელს ყირიმს გადაერქვა სახელი და მას, როგორც ტავრიდას ოლქს ისე მოიხსენიებდნენ. 1795 წელს გახდა ნოვოროსიისკის გუბერნიის ნაწილი, 1802 წელს კი გადაკეთდა ტავრიდის გუბერნიად. რუსეთის სამოქალაქო ომის პირველ ხანებში ჩამოყალიბდა რამდენიმე მოკლევადიანი მთავრობა, ესენი იყო: ყირიმის სახალხო რესპუბლიკა, ყირიმის რეგიონალური მთავრობა, ყირიმის სსრ. 1921 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა რსფსრ-ის ყირიმის ავტონომიური სსრ. მეორე მსოფლიო ომის და ყველა ადგილობრივი ყირიმელი თათრის დეპორტაციის შემდგომ, 1946 წელს, ყირიმის ასსრ-მ დაკარგა ავტონომია და ჩამოქვეითდა რუსეთის სფსრ-ის ოლქად. 1954 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დეკრეტით ყირიმის ოლქი რუსეთის

[6] თათია ნიკვაშვილი, 5 წელი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიიდან, მითების დეტექტორი, 2019, გვ.1. http://www.mythdetector.ge/ka/myth/5-celi-rusetis-mier-qirimis-aneksiidan?fbclid=IwAR2WEVVXNMndf7hnb_i4sr4ooqbtyETw4rWdYZyXMCIJxcxqh4fQFQCYiao (ბოლო ნახვა: 10.06.2021)

სფსრ-სგან გადაიყვანეს უკრაინის სსრ-ში. 1989 წელს, უმაღლესმა საბჭომ სტალინის მმართველობის პერიოდში ყირიმელი თათრების დეპორტაცია უკანონოდ გამოაცხადა და მუსულმანური ეთნიკური ჯგუფის უდიდეს ნაწილს ყირიმში დაბრუნების ნება დართო.

აღსაღნიშნავია, ის ფაქტი, რომ უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა გარკვეული წლების მანძილზე თვლიდა, რომ მათი მომავალი ასე თუ ისე მაინც რუსეთს უკავშირდებოდა, თუმცა დრომ ეს შეხედულებები თავიდან ბოლომდე შეცვალა და დღეს, უკრაინელი ხალხი დასავლური გზის გაკვლევისთვის იბრძვის.

ამ შეხედულებების დადასტურებაა კიევში მდებარე რაზუმკოვის ცენტრის ბოლო კვლევაც, რომლის შედეგებიც „ამერიკის ხმამ“ ერთ სტატიაში გააერთიანა.

მთავარი დასკვნა, რაც აქედან გამოვიტანეთ, არის ის, რომ სიტუაცია უკრაინაში რადიკალურად შეიცვალა“ - ამბობს ანდრი ბიჩენკო, ცენტრის სოციოლოგიურ კვლევათა დირექტორი. დღეს უკვე მოსახლეობის ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ უკრაინის მომავალი ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობაშია.

„მთავარი მიზეზი, რამაც უკრაინის საზოგადოებრივი აზრის ასეთი სწრაფი ცვლილება გამოიწვია და ის უფრო პროევროპული გახადა, ძირითადად რუსეთის აგრესიაა“ - აღნიშნავს ანდრი ბიჩენკო.

აღმოსავლეთ უკრაინაშიც კი, სადაც პრორუსი სეპარატისტები ბევრად უფრო აქტიურობენ, გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 22 პროცენტს სურს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა, 32 კი აცხადებს, რომ უკრაინა უფრო ახლოს ევროკავშირთან უნდა იყოს. დანარჩენს ან განსხვავებული შეხედულება აქვს, ან საერთოდ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას.

თუმცა, რუსეთის პოპულარობის ვარდნა არ არის ერთადერთი შედეგი, რაც რუსეთის ღია აგრესიამ მოიტანა - აცხადებს რუსეთიდან გაძევებული ექსპერტი იგორ სუტიაგინი, რომელიც ახლა ლონდონის სამეფოს

გაერთიანებული სამსახურების ინსტიტუტში მუშაობს. მისი აზრით, კრემლმა უკრაინის აღმოსავლეთში ამბოხებულთა გაძლიერებით, რომელთა შორის ბევრი წარმოშობით რუსია, ისეთი პრობლემა შექმნა, რომელიც შესაძლოა თავად მასვე ცუდად მოუბრუნდეს.

„ისინი ამჟამად უკიდურესად რადიკალიზებული არიან. მათ ერთგვარი თავისუფლების შეგრძნება აქვთ, მიღებული წესრიგის და კანონის წინააღმდეგ ბრძოლის ილუზია გაუჩნდათ. ამბოხებულებს შეიარაღებაც გააჩნიათ. აღმოსავლეთ უკრაინაში არასტაბილურობა იმაზე დიდ მასშტაბებს აღწევს, ვიდრე რუსეთს ეს კიევის პოლიტიკის გასაკონტროლებლად სჭირდება“ - აღნიშნავს ანალიტიკოსი.

სუტიაგინის თქმით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს ახალი პრობლემა ელის. ყირიმის სწრაფმა ანექსიამ რუსეთში ადგილობრივ მოსახლეობაში მთავრობის მიმართ მოლოდინი გაზარდა. ისინი აღმოსავლეთ უკრაინის ასევე ადვილად და სწრაფად დაპყრობას ელოდნენ. სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს იოლი საქმე არ იქნება და რუსეთი უკრაინის აღმოსავლეთში ძალიან ძლიერ წინააღმდეგობას გადააწყდება.

ამასობაში სხვა პრობლემებიც იჩენს თავს. გარდა იმისა, რომ სამხედრო ოპერაცია თავისთავად ძვირი დაჯდება, უკრაინის ტერიტორიებს თავისი რთული ეკონომიკური პრობლემებით, მსხვილი სუბსიდიები დასჭირდება. პარალელურად, კიდევ უფრო გამკაცრდება დასავლეთის მიერ უკრაინაზე დაწესებული სანქციები, რაც რუსეთის ეკონომიკას კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება. საბოლოო ჯამში კი ამ ფასად მოპოვებული უკრაინული ტერიტორიები არც ისე მომხიბვლელ პერსპექტივად გამოჩნდება.

„რუსეთს ყირიმიც საკმაოდ ძვირი დაუჯდა და მისი მონელება გაუჭირდა კიდეც. წარმოუდგენელია უკრაინის სხვა ნაწილების გადაყლაპვა შეძლოს. არადა, რუსეთის მოსახლეობაში ამგვარი მოლოდინია. ასე რომ, ესეც

დამატებით სირთულეებს ქმნის“ - ამბობს იგორ სუტიაგინი.[7] (ამერიკის ხმა, 2014)

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სწორედ რომ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას უკავშირებენ ყირიმის ანექსია, რადგან რუსეთს ძალიან არ მოსწონს ის გარემოება, რომ ხდება ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება რუსეთის საზღვრებთან. ამ საკითხებზე საუბრობს ირაკლი ბენუა, თავის სტატიაში.

უკრაინული სახელმწიფოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება თუ რატომ სჭირდებოდათ ამერიკელებს უკრაინა. ამის ერთ-ერთ უმთვარესი მიზეზი გახლდათ ყირიმის ნახევარკუნძულის გაკონტროლება და იქ განლაგებული რუსული შავი ზღვის ფლოტილიის ხელში ჩაგდება, რათა განედევნათ ეს უკანასკნელები შავი და ხმელთაშუა ზღვის აკვატორიიდან. ამერიკული გეოპოლიტიკისთვის, როგორც „საზღვაო სახელმწიფოსთვის“ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს რუსეთისათვის ყველა საზღვაო კომუნიკაციების გაკონტროლება და ჩაკეტვა.[8] (ირაკლი ბენუა, 2014)

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია, იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სწორი სვლა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, იმის დემონსტრირებისთვის, რომ რუსეთს ჯერ კიდევ შესწევს ძალა, იყოს პირველი და რომ ის არასდროს აღიარებს დამარცხებას, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს. ამ შეხედულებას ეთანხმება ციგანკოვიც.

---

[7] ამერიკის ხმა, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის მომავალი, 2014, გვ.1. https://www.amerikiskhma.com/a/russia-ukraine-relations-future/1919483.html?fbclid=IwAR0VSZ485_kCzJpohQhiWoiK24Ln_ULR5CBughl-CFL-ogfbqIM56T8np_o (ბოლო ნახვა: 15.06.2021)

[8] ირაკლი ბენუა, უკრაინის დაშლის შიდა და საგარეო პოლიტიკური მიზეზები, 2014, გვ.1. https://politicano.blog/2014/12/28/%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1/?fbclid=IwAR3sfEv6mleDVXgfaIQfeSAjOtwLsNyVK4D5_QG-NXiz1ox3IV95AF5xNGA (ბოლო ნახვა: 15.06.2021)

უკრაინაზე გავლენის დაკარგვა უდავოდ იქნებოდა მთავარი გეოპოლიტიკური დამარცხება კრემლისთვის და პუტინი ცდილობს დაანახოს გარე სამყაროს, რომ რუსეთს შეუძლია საკუთარი პოზიციების დაცვა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ამისათვის უკრაინის სახელმწიფოებრიობისათვის ძირის გამოთხრაა საჭირო.[9] (ციგანკოვი, 2015)

რუსეთმა უამრავი საერთაშორისო ხელშეკრულება დაარღვია, კონკრეტულად უკრაინასთან მიმართებაში კი ესენია: გაეროს წესდება, დსთ-ის წესდება, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდება, ეუთოს სამიტის დეკლარაცია, ევროპული უსაფრთხოების ქარტია, პარიზის ქარტია, და სხვა მრავალი.

ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რაც რუსეთმა უკრაინასთან მიმართებაში დაარღვია, ესაა, 1997 წლის 31 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულება, რაც მიზნად ისახავდა რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მეგობრობას, თანამშრომლობასა და პარტნიორობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობაში ძალიან ხშირია დეზინფორმაციის კამპანია, რომელიც თავის მხრივ, დიდ მასშტაბებსაც იძენს. არავის გაუკირდება, თუ ვიტყვი, რომ აღნიშნული კამპანია რუსეთის მხრიდან მოდის. თვალსაჩინოებისთვის, ყველაზე ნათელი მაგალითია ის, თუ რა პროპაგანდას ეწეოდნენ რუსეთის სახელმწიფო მედიები უკრაინის წინააღმდეგ ყირიმის ანექსიის პარალელურად.

EU vs. Disinfo-მ კონფლიქტის ადრეულ ეტაპებზე უკრაინის წინააღმდეგ გავრცელებული სამი თვალსაჩინო დეზინფორმაცია გამოაქვეყნა, რომელსაც თავი მოუყარა ჟურნალისტმა თათია ნიკვაშვილმა.

1. 2014 წლის 12 ივლისს რუსეთის პირველმა არხმა გამოაქვეყნა ინტერვიუ ქალთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ ის უკრაინელი ნაციონალისტების მიერ სამი წლის ბავშვის ჯვარზე გაკვრას შეესწრო. თუმცა რუსეთიდან და უკრაინიდან ბლოგერებმა მალევე დაადგინეს, რომ რესპონდენტი

[9] ციგანკოვი, 2015, გვ.298

მსახიობი, ხოლო ბავშვის ჯვარზე გაკვრის ისტორია გამოგონილი იყო. 2. 2014 წლის 14 ივლისს რუსმა სამხედროებმა აღმოსავლეთ უკრაინაში მალაიზიური ავიახაზების ბოინგი ჩამოაგდეს. წლების მანძილზე RT და რუსეთის სხვა სახელმწიფო მედიები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პოზიციას ახმოვანებდნენ. ბოინგის ჩამოგდებაში რუსი სამხედროების მონაწილეობა და რუსეთის მხრიდან ურთიერთგამომრიცხავი ნარატივების ანალიზი Bellingcat-მა შეძლო. 3. 2015 წლის აპრილში რუსულმა არხმა НТВ-მ მოამზადა სიუჟეტი, თითქოს აღმოსავლეთ უკრაინაში უკრაინის სამთავრობო ძალებმა 10 წლის გოგონა მოკლეს. BBC-ის ჟურნალისტი ნატალია ანთელავა ამ ინფორმაციის გადამოწმებას ადგილზე შეეცადა და აღმოჩნდა, რომ ამბავი მთლიანად გამოგონილი იყო.[10] (თათია ნიკვაშვილი, 2019)

უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობები ყოველთვის განიხილება გეოპოლიტიკურ ჭრილში, რადგან ეს არის ის წითელი ხაზი, რომელსაც რუსეთი არასდროს დათმობს, პირიქით, მას სურს საბჭოთა კავშირის აღდგენა, რასაც ასე მკაფიოდ და ღიად ადასტურებს. თუმცა, მარტივად აღსაქმელი და ნათლად დასანახია ის, თუ რა უნდა უკრაინელ ხალხს, რომლებიც ასეთი შემართებითა და პატრიოტიზმით იბრძვიან თავისუფლებისთვის, დემოკრატიისთვის და უკეთესი მომავლისთვის, რომლის დათმობასაც არ აპირებენ.

1.3. უკრაინა და აღმოსავლეთ ევროპული რეგიონული უსაფრთხოება - ევროკავშირის „აღმოსავლეთ ევროპის“ ინიციატივა და სუამი

[10] თათია ნიკვაშვილი, 5 წელი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიიდან, მითების დეტექტორი, 2019, გვ.1. http://www.mythdetector.ge/ka/myth/5-celi-rusetis-mier-qirimis-aneksiidan?fbclid=IwAR2WEVVXNMndf7hnb_i4sr4ooqbtyETw4rWdYZyXMCIJxcxqh4fQFQCYiao (ბოლო ნახვა: 18.06.2021)

აღმოსავლეთ ევროპა ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონია, რომელშიც ჩვეულებისამებრ, იგულისხმება დსთ-ს ევროპული ქვეყნები. ესენია: უკრაინა, რუსეთი, ბელარუსი, მოლდოვა, ყაზახეთი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგიონი ძალიან მნიშვნელოვანი, საჭირო და აუცილებელია ევროკავშირისთვის, რადგან სწორედ, ეს არის ის ადგილი, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში უსაფრთხოების თვალსაზრისით.

აღმოსავლეთ ევროპული რეგიონული უსაფრთხოებისთვის და ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებთან (უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი) თანამშრომლობისთვის შეიქმნა ფორმატი. მისი მთავარი მიზანი, რაღა თქმა უნდა ევროპული სამეზობლოს პოლიტიკის ხელშეწყობა და გაძლიერებაა.

2008 წლის 3 დეკემბერს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკაცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ, რომელიც დამტკიცდა 2009 წლის 7 მაისს ევროპული საბჭოს სხდომაზე.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ კონკრეტულ მიზნად ისახავს შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების ხელშეწყობას, მიაღწიონ ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ასევე, ის ითვალისწინებს მობილურობის გაძლიერებას და მომზადებულ პარტნიორ ქვეყნებთან ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ეტაპობრივ გაუქმებას, შესაბამისი სამოქმედო გეგმის აღსრულების გზით, კარგად მართული და უსაფრთხო გარემოს პირობებში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში მიმდინარეობს. ორმხრივი ფორმატი, ევროკავშირისა და კონკრეტული პარტნიორი ქვეყნის თანამშრომლობის წარმართვასა და არსებული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას ემსახურება. მრავალმხრივ ფორმატში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნები, ძირითადად, ოთხი თემატური პლატფორმის ფარგლებში თანამშრომლობენ 1) „დემოკრატია, ეფექტური

მმართველობა და სტაბილურობა"; 2) „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება"; 3) „ენერგოუსაფრთხოება"; 4) „ხალხთა შორის კონტაქტები."[11] (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)

საინტერესოა უკრაინელი ექსპერტების მოსაზრებები „აღმოსავლეთის პარტნიორობასთან" დაკავშირებით. მათი თქმით, მას დიდი მოლოდინები უკავშირდება, განსაკუთრებით უკრაინისთვის, თუმცა ყველა მათგანი ვერ გამართლდება. ექსპერტების მოსაზრებები გაერთიანებულია სტატიაში, რომელიც Александр Савицкий-მა მოამზადა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" პოლიტიკის გაგების სირთულე განპირობებულია კონკრეტული პროექტების, გრანტების ან საკრედიტო ხაზების არარსებობით, რაც შეიძლება „ხელით შეგვეხო", განუცხადა Deutsche Welle– ს უკრაინის ევროკავშირის წარმომადგენლობის მედიის კოორდინატორმა დევიდ სტულიკმა. მისივე თქმით, აღმოსავლეთ პარტნიორობა გახდა „პლატფორმა, რომელზეც ექვს პოსტსაბჭოთა ქვეყანას შეუძლია ისარგებლოს ევროკავშირთან თანამშრომლობით". სტულიკმა მონაწილეთა უპირატესობებს შორის დაასახელა თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა და უვიზო რეჟიმის მიღწევა გრძელვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, ევროკომისიის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ „ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ევროკავშირის ორმხრივ ურთიერთობებს ექვს ქვეყანასთან, არამედ ამ ქვეყნების თანამშრომლობას ერთმანეთთან".

„აღმოსავლეთის პარტნიორობისგან დიდი მოლოდინებია, მაგრამ შესაძლოა ყველა მათგანი არ გაამართლოს", - თქვა სტულიკმა. მისი თქმით, ევროკავშირის პროგრამის მიზნები არ არის მხოლოდ კონკრეტული პროექტების განხორციელება, ვიდრე გამოცდილების გადაცემა, კანონმდებლობის საფუძვლები და მენეჯმენტის მიდგომები, რომლებსაც

[11] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გვ.1. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/About-GUAM.aspx?fbclid=IwAR15EB0ZVJ2030UFn5reNT_LcKxJcwY6p6aFeF3LTjPDpTwdLUttzPc3qwM (ბოლო ნახვა: 20.06.2021)

მომავალში ბევრად უფრო მეტი თანხის შემოტანა შეუძლია, ვიდრე ახლა ევროკავშირის გამოყოფას. აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის განსახორციელებლად.[12] (Александр Савицкий, 2010)

მნიშვნელოვანია, უკრაინის ამჟმინდელი პრეზიდენტის ვლადიმერ ზელენსკის განცხადება, რომელიც მან 2020 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერების ვიდეოკონფერენციაზე გააკეთა. აღნიშნული ინფორმაცია, პრეზიდენტის გვერდზე გამოქვეყნდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ სასარგებლოა უკრაინისთვის, თუკი იგი უკრაინის სახელმწიფოს ევროკავშირში გაწევრიანებას დააახლოვებს, აღნიშნა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერების ვიდეოკონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას. -აღმოსავლეთ პარტნიორობამ არ უნდა შეზღუდოს პარტნიორების ამბიციები. ვინმეს სჭირდება პოლიტიკური დიალოგი, ვინმეს სჭირდება სტრატეგიული პარტნიორობა ევროკავშირთან, ვიღაცას სურს ინტეგრირება საერთო ბაზარზე „ოთხი თავისუფლების“ საფუძველზე და ვიღაცას, უკრაინის მსგავსად, სჭირდება ევროკავშირში სრული წევრობის უფლება, - თქვა ვლადიმერ ზელენსკიმ.

ქვეყნის მეთაურმა გაიხსენა, რომ თავიდანვე ინიციატივის მიზანი იყო ევროკავშირის საზოგადოების განვითარება პარტნიორებთან ერთად, რომლებიც იზიარებენ ევროპულ ღირებულებებსა და პრინციპებს. ამავე დროს, ასეთი ასოციაციის სარგებლობით უნდა ისარგებლოს მონაწილე ქვეყნების ყველა მოქალაქემ.

უკრაინის პრეზიდენტმა გამოხატა ნდობა გამოწვევების, განსაკუთრებით კორონავირუსის პანდემიის შედეგების ერთობლივი დაძლევის შესაძლებლობაში, ქვეყნებს შორის უფრო ღრმა ინტეგრაციისა და კოორდინაციის გზით, და არა პოლიტიკური თვით იზოლაციისა და პროტექციონიზმის გზით.

[12] Александр Савицкий, Эксперты: „Восточное партнерство“ на Украине недопонимают и недооценивают, Киев, 2010, გვ.1.

-ეს შეხვედრა არის დიდი შესაძლებლობა განვიხილოთ შემდგომი თანამშრომლობა არსებული კრიზისის დასაძლევად და მომავალში მსგავსი გამოწვევების დასაძლევად. ჩვენ ძალიან რთული ამოცანების წინაშე ვდგავართ: მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, პიროვნული და საქმიანი კონტაქტების აღდგენა, ეკონომიკის კრიზისული ტრაექტორიიდან გამოსვლა, - თქვა მან.[13] (ПРЕЗИДЕНТ УКРАЇНИ, 2020)

საინტერესოა სუამის, როგორც მნიშვნელოვანი ორგანიზაციის ფუნქციონირება, რომელმაც არსებობა საკონსულტაციო ფორუმით, 1997 წლის 10 ოქტომბერს დაიწყო. 1999 წლის აპრილში კი ორგანიზაციას უზბეკეთი შეუერთდა და მას სუუამი დაერქვა.

ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, 2001 წლის 6-7 ივნისს გამართულ იალტის სამიტზე მოხდა სუუამის ქარტიის ხელმოწერა, რაც ორგანიზაციის ფორმალურად შექმნის თარიღად ითვლება.

2002 წელს უზბეკეთმა გამოაცხადა, რომ ორგანიზაციიდან გამოსვლას გეგმავდა და მას შემდეგ სუამის სამიტებსა და შეხვედრებს იგნორირებას უწევდა.

2004 წლის იალტის შეხვედრას ხუთი წევრიდან მხოლოდ ორი ესწრებოდა. თუმცა ბოლოდროინდელმა ფერადმა რევოლუციებმა საქართველოსა და უკრაინაში და მოლდოვაში პრო-დასავლური და ანტი-რუსული მმართველი პარტიის გაძლიერებამ სუამის წევრებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია უფრო აქტუალური გახადა.

2005 წლის 22 აპრილის სუამის სამიტზე, უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი და ასევე მოწვეული პოლონეთის პრეზიდენტი შეხვედრაზე არ გამოჩენილან. თუმცა დამკვირვებლების როლში იყვნენ რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ და ლიეტუვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ევრაზიის სპეციალური

[13] ПРЕЗИДЕНТ УКРАЇНИ, Президент: Восточное партнерство полезно для Украины, если приближает наше государство к членству в ЕС, გვ.1. https://www.president.gov.ua/ru/news/prezident-shidne-partnerstvo-korisne-dlya-ukrayini-yaksho-na-61689?fbclid=IwAR2sXO5BFOcHFUhLmQihLgd1qBr3ZuFNvz7DXKFHKMNXHJOfXLM0IhR1dK4 (ბოლო ნახვა: 22.06.2021)

წარმომადგენლის სტივენ მანისა და ეუთოს გენერალური მდივნის იან კუბისის თანდასწრებით. რუსეთის ელჩმა კიშინიოვში უკმაყოფილება გამოთქვა რუსეთის წარმომადგენლის არმოწვევის გამო.

2005 წლის 5 მაისს უზბეკეთმა საბოლოოდ ოფიციალურად განაცხადა ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ, ამის შემდეგ ორგანიზაციას ისევ სუამი დაერქვა.

სუამ-ის ძირითადი მიზნები, შემდეგნაირია:

დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა; სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა; საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება; ევროპის ინტეგრაციის გაღრმავება საერთო უსაფრთხოების სივრცის შესაქმნელად, აგრეთვე ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოება; მხარეთა სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარული პოტენციალის განვითარება; საერთო ინტერესის სფეროებში პოლიტიკური ურთიერთქმედებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის გააქტიურება.[14] (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის წესდება, ერთობ საინტერესო და საყურადღებოა, რადგან აქ არის გაერთიანებული ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ასე აახლოებს და აძლიერებს ორგანიზაციაში გაერთიანებულ ქვეყნებს.

მუხლი 9: სუამ-ი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

მუხლი 11: სუამ-ს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც ყალიბდება და სრულდება სუამ-ის ფინანსურ დებულებათა შესაბამისად.Bბიუჯეტი მტკიცდება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებით.

[14] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გვ. 1. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/About-GUAM.aspx?fbclid=IwAR15EB0ZVJ2030UFn5reNT_LcKxJcwY6p6aFeF3LTjPDpTwdLUttzPc3qwM (ბოლო ნახვა: 20.06.2021)

სუამ-ის ფარგლებში ღონისძიებათა ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს მიმღები მხარე.

მუხლი 12: სუამ-ის ორგანოებში გადაწყვეტილებები მიიღება ყველა მხარის მონაწილეობით, კენჭისყრის გარეშე, შეთანხმების გზით კონსენსუსის საფუძველზე. გადაწყვეტილებები ძალაში შედის მათი მიღების თარიღიდან, თუ მათში სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 13: სუამ-ი ღიაა სხვა სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ვალდებულებას იღებენ დაიცვან წინამდებარე წესდების, აგრეთვე სუუამის 2001 წლის იალტის ქარტიის და სუამ-ის სახელმწიფოთა მეთაურების 2005 წლის კიშინეუს დეკლარაციის „დემოკრატიის, სტაბილურობისა და განვითარებისათვის“ დებულებანი. დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ თავმჯდომარე მხარისათვის გაგზავნილი ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წარდგინებით, სუამ-ში ახალი წევრების მიღების შესახებ გადაწყვეტილებას კონსენსუსით იღებს სუამ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭო. სუამ-ში იმ სახელმწიფოს წევრობა, რომელიც არღვევს წინამდებარე წესდების დებულებებს და/ან არ ასრულებს სუამ-ის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და დოკუმენტებით ნაკისრ ვალდებულებებს, შეიძლება შეჩერდეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წარდგინებით, სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება პრინციპით "კონსენსუსი მინუს ერთი ხმა. თუ ეს სახელმწიფო კვლავაც არღვევს თავის ვალდებულებებს, სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს შეუძლია მიიღოს სუამ-იდან მისი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება იმ თარიღიდან, რომელსაც სახელმწიფო მეთაურთა საბჭო განსაზღვრავს. სუამ-ის წევრობა შეიძლება აღდგეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წარდგინებით, სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება გავიდეს სუამ-იდან, თუ თავმჯდომარე მხარეს შესაბამის ოფიციალურ წერილობით

შეტყობინებას გაუგზავნის გასვლის თარიღამდე არა უგვიანეს თორმეტი თვით ადრე.

მუხლი 14: ყველა მხარის თანხმობის საფუძველზე, სუამ-ს შეუძლია დიალოგი და ურთიერთქმედება აწარმოოს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სუამ-ს შეუძლია პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს და განავითაროს დაინტერესებულ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ინტერესს ავლენენ სუამ-თან თანამშრომლობისადმი და იზიარებენ წინამდებარე წესდების მიზნებსა და პრინციპებს, ამასთან მიანიჭონ მათ მეთვალყურის სტატუსი. ასეთი ურთიერთობებისა და ხსენებული სტატუსის მინიჭების წესები და პროცედურები განისაზღვრება სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებითა და პროცედურული წესებით.

მუხლი 15: მხარეები სუამ-ში თავიანთ მუდმივ წარმომადგენლებს ნიშნავენ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა მუდმივ წარმომადგენლებს აქვთ დიპლომატიური პერსონალის სტატუსი, დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 16: სუამ-ი ყველა მხარის ტერიტორიაზე სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც საჭიროა სუამ-ის ფუნქციების შესრულებისა და მიზნების მისაღწევად. საჭირო პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მოცულობა განისაზღვრება ცალკე საერთაშორისო შეთანხმებით.

მუხლი 17: სუამ-ის ოფიციალური და სამუშაო ენებია ინგლისური და რუსული.

მუხლი 18: წინამდებარე წესდების დეპოზიტარია უკრაინა.

მუხლი 19: წინამდებარე წესდება იდება განუსაზღვრელი დროით.

წინამდებარე წესდება დროებით გამოიყენება მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაში შედის იმ თარიღიდან, როცა დეპოზიტარი მიიღებს

ბოლო ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას მხარეთა მიერ ყველა იმ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულების შესახებ, რომლებიც საჭიროა მისი ძალაში შესვლისათვის.

მუხლი 20: ძალაში შესვლის შემდეგ წინამდებარე წესდება ღია იქნება იმ სახელმწიფოთა მიერთებისათვის, რომელთა მიმართაც სახელმწიფო მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სუამ-ში მიღების შესახებ. მიერთებული სახელმწიფოსათვის წინამდებარე წესდება ძალაში შედის იმ თარიღიდან, როცა დეპოზიტარი მიიღებს ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას მიერთებული სახელმწიფოს მიერ ყველა იმ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულების შესახებ, რომლებიც საჭიროა მისი ძალაში შესვლისათვის.

მუხლი 21: წინამდებარე წესდებაში, მხარეთა თანხმობით, შეიძლება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც ცალკე ოქმებით ფორმდება და ეს ოქმები მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ძალაში შედის წინამდებარე წესდების 19 მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 22: წინამდებარე წესდების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით დავის წამოჭრის შემთხვევაში, მხარეები მას კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით გადაწყვეტენ.

მუხლი 23: წინამდებარე წესდებისადმი დათქმები არ დაიშვება.

მუხლი 24: წინამდებარე წესდება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში რეგისტრაციას. შესრულებულია ქ. კიევში, 2006 წლის 23 მაისს ერთ ეგზემპლარად ინგლისურ და რუსულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. წინამდებარე წესდების დებულებათა განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში, ინგლისურ ტექსტს უპირატესი ძალა ენიჭება.[15] (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)

[15] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გვ.1. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/GUAM-Docs/Charter-Of-Organization-

საინტერესოა როგორ აფასებენ და როგორ ხედავენ სუამი-ს როლს უკრაინაში. ამას კი М.Кривогуз-ის სტატიიდან გავიგებთ, რომელიც მან „УКРАИНА СЕГОДНЯ“-თვის მოამზადა.

უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი და მოლდოვა, ეს ის ქვეყნებია, რომელთა პრეზიდენტებმა თანამშრომლობა დაიწყეს 1997 წლის შემოდგომაზე, სტრასბურგში. ორგანიზაციის დაარსების წესდებას კი ხელი მოეწერა 2001 წლის ივლისში, იალტაში.

ექსპერტების აზრით, ამ სტრუქტურის შექმნის მიზანია მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური, პირველ რიგში, ენერგეტიკული დამოკიდებულების შესუსტება რუსეთის ფედერაციაზე და კასპიის აუზიდან ევროპაში ენერგიის მიწოდების სატრანზიტო გზების შექმნა რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით.

მოგვიანებით სუამ-ის საქმიანობაში, საქმიანობის პერიოდები და სტაგნაცია ენაცვლებოდა ერთმანეთს. ამავდროულად, თანამშრომლობის განვითარების ინიციატორი, როგორც წესი უკრაინა იყო. ასე რომ, იალტის შეხვედრის შემდეგ, ორგანიზაციის საქმიანობა შეჩერდა და განახლდა მხოლოდ ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, უკრაინა - 2006 წლის მაისში.

სუამ-ის ქვეყნების ლიდერების პირველ სამიტზე, ხელი მოეწერა ოქმს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ. 2009–2014 წლებში ორგანიზაციის საქმიანობისადმი ინტერესი მონაწილეების მხრიდან შესამჩნევად დასუსტდა. სუამის საქმიანობას ახალი სტიმული მიეცა 2015 წელს, როცა მისი თავმჯდომარეობა უკრაინას გადაეცა. 2017 წლის მარტში ორგანიზაციის წევრთა შეხვედრაზე, კიევში, მიღებულ იქნა არაერთი დოკუმენტი თავისუფალი სავაჭრო ზონის შემოღების შესახებ. ასევე, წამოაყენეს სუამ-სა და იაპონიას შორის თანამშრომლობის პროგრამა. ამასთან, სუამ-ის მთავარი რგოლის - უკრაინის ეკონომიკური და

GUAM.aspx?fbclid=IwAR1Sfw0cyPU7Pa5hZw0AxSat9HGdU0OdnTux0Et1ZRArgJxLDW6_rOz5-0g
(ბოლო ნახვა: 25.06.2021)

პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, ორგანიზაციამ ვერ მოახერხა მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა.[16] (М.Кривогуз, 2018)

კიევის სამიტის დროს, როცა სუამ-ის ქვეყნების მთავრობების მეთაურებმა ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს, უკრაინის მთავრობამ გაავრცელა ინფორმაცია, სადაც ნათლად იყო ასახული მათი დამოკიდებულება, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ამას „Европейская правда" იტყობინება.

„ამისათვის ჩვენ უნდა შევასრულოთ მთელი რიგი დავალებები. პირველ რიგში, უნდა შევქმნათ ინსტრუმენტები თავისუფალი სავაჭრო ზონის ფუნქციონირებისთვის. FTA– ს შექმნა აბსოლუტური პრიორიტეტია გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისის და მნიშვნელოვანი შემცირების პირობებში. ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებლებში. მეორე, სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის კონცეფციის განხორციელება და მესამე, ჩვენს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის განმტკიცება მომსახურების ბაზრის ორმხრივი ლიბერალიზაციის გზით, - განაცხადა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ოლექსი ჰონჩარუქმა.

შეხვედრის შედეგად, დელეგაციების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომელშიც განისაზღვრება „შესაბამისი სახელმწიფოების მკაფიო განზრახვა, მიიღონ ზომები წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის რეალურად განმტკიცებისა და ვაჭრობის მოცულობის გაზრდის მიზნით, - განაცხადა მთავრობამ.[17] (Европейская правда, 2019)

უკრაინისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა იმ ორგანიზაციებში გაერთიანება, როგორებიცაა „აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობა" და „სუამი". ეს არის ის გზა, რომელზეც ევროკავშირი ზურგს უმაგრებს უკრაინას. შესაბამისად, ახლა როცა რუსეთი ცდილობს გავლენები

[16] М.Кривогуз, УКРАИНА СЕГОДНЯ, 2018, გვ.62.

[17] Европейская правда, Страны ГУАМ в Киеве подписали два протокола о намерениях, 2019, 1-ლი გვერდი (ბოლო ნახვა: 10.06.2021) https://www.eurointegration.com.ua/rus/news/2019/12/13/7104191/ (ბოლო ნახვა: 26.06.2021)

მოიპოვოს უკრაინაზე, მაშინ, როცა რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, მნიშვნელოვანია უკრაინის, როგორც ერთ-ერთი დიდი ევროპული ქვეყნის გაძლიერება და განმტკიცება, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კუთხით.

თავი II - უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები

2.1. უკრაინის ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკის კურსის კონცეფტუალური მომენტები: გზა ნატოსკენ

უფრო სწორი იქნება, თუ ამ თავის მიმოხილვას, ნატოზე საუბრით დავიწყებთ, რადგან უფრო მკაფიოდ და ნათლად დავინახოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია უკრაინის მისწრაფებები და ის, თუ რაოდენ საჭიროა მისი ინტეგრაცია ამ ორგანიზაციაში.

ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 30 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ალიანსის წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. NATO იცავს მოკავშირეების დემოკრატიის საერთო ფასეულობებს, პიროვნების თავისუფლებას, კანონის უზენაესობასა და უზრუნველყოფს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. ნატო არის

საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

დღესდღეისობით ნატო არის ლიდერი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახმელეთო თუ საჰაერო ოპერაციებს. აქვე, უნდა ითქვას, რომ ნატო ასევე არის ორგანიზაცია, რომლის ანგარიშზეა ძალიან ბევრი მშვიდობიანი ოპერაცია, რომელიც მიმართულია თავისთავად მშვიდობისკენ, სიმშვიდისკენ, სიწყნარისკენ და რაც მთავარია, ტერორიზმის თავიდან აცილებისკენ.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოახდინა უკრაინის ტერიტორიის ოკუპაცია, უფრო აქტუალური გახდა ნატოს სიმძლავრეზე საუბარი, რადგან ბევრი თვლის, რომ ამ რეალობის პირობებში, კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა ის, თუ რამდენად მოახერხებს ლიდერი ორგანიზაცია მისი წევრი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვას. გვანცა კვარაცხელია თავის ნაშრომში უფრო კონკრეტულად საუბრობს აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუმცა მისი მემკვიდრე, რუსეთი, კვლავ განაგრძობს ექსპანსიას, რისი მაგალითიცაა უკრაინის ტერიტორიის ოკუპაცია. ამ ფაქტის შემდეგ მედიაში სკეპტიკური მოსაზრებები გაჩნდა იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ნატოს გაუმკლავდეს თანამედროვე გამოწვევებს. თუ რუსეთი გააგრძელებს ექსპანსიას, რამდენად შესწევს ალიანსს ძალა შეაჩეროს მისი დამპყრობლური პოლიტიკა და, ამასთან, ებრძოლოს ტერორიზმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. რა ხარისხითაა ნატო მშვიდობის გარანტი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის?

ნატოს მთავარ იარაღად რჩება კოლექტიური თავდაცვის პრინციპი – წვერ სახელმწიფოზე თავდასხმა განიხილება, როგორც ალიანსში შემავალ ყველა სახელმწიფოზე თავდასხმა. შესაბამისად რუსეთის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას დაუყოვნებლივ მოჰყვება შესაბამისი რეაქცია წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ყოველთვის პრიორიტეტულია კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი და დიპლომატიური გზები, თუმცა თუ რუსეთი

გააგრძელებს ტერიტორიების მითვისებას ნატო იძულებული იქნება ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს.[18] (კვარაცხელია, 2020)

უკვე დიდიხანია, რაც უკრაინა უდრეკად მიყვება გზას, რომელიც ნატოში გაწევრიანებამდე მიდის. უკრაინის ხელისუფლება ცდილობს დაანახოს ყველას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი მიღება ამ ორგანიზაციაში. მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია, ეს საკითხი კიდევ უფრო მკაფიო და მკვეთრი გახდა. მარიამ უგრეხელიძის სტატიაში, რომელიც მან „ამერიკის ხმისთვის“ მოამზადა, ვკითხულობთ იმ გზაზე, რასაც უკრაინა გადის.

2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ განაცხადა, რომ უკრაინა და საქართველო ერთ დღეს ნატოს წევრები გახდებოდნენ. მაშინ ორგანიზაცია ორივე ქვეყანას დაჰპირდა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, „წევრობის სამოქმედო გეგმას“, ანუ მაპს მიანიჭებდა და ეს იქნებოდა მომდევნო ნაბიჯი ნატოს წევრობის გზაზე.

2008 წლის შემდეგ, 13 წელი გავიდა. საქართველო და უკრაინა, ბუქარესტის სამიტის შემდეგ, რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდნენ. 2008 წელს აგვისტოს ომი დასრულდა, თუმცა მცოცავი ბორდერიზაცია, საქართველოს მოქალაქეების გატაცება და მკვლელობა გრძელდება. 2014 წელს, ყირიმში დაწყებული ომი და უკრაინის ანექსია და ომი აღმოსავლეთში კი კვლავ მიმდინარეობს. სულ ცოტა ხნის წინ, რუსეთმა 100,000 ჯარისკაცი გადაისროლა ანექსირებულ ყირიმსა და უკრაინის საზღვართან.[19] (უგრეხელიძე, 2021)

თუმცა, წლებია, ერთის მხრივ, უკრაინის ხელისუფლება და მეორეს მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები თუ პოლიტიკოსები, აშკარა

[18] გვანცა კვარაცხელია, ნატო - მსოფლიო უსაფრთხოების გარანტი, 2020, გვ.1.

[19] მარიამ უგრეხელიძე, 13-წლიანი მოლოდინი - მზადაა, თუ არა უკრაინა მაპის მისაღებად, ამერიკის ხმა, 2021, გვ.1. https://www.amerikiskhma.com/a/nato-ukraine-future/5880951.html?fbclid=IwAR34WhPz0Uuy0HTrHc20D3hLDbA51iJLI2CMg_Gmzaundc09qrA4h3M11is (ბოლო ნახვა: 26.06.2021)

მხარდაჭერას უცხადებენ უკრაინის გაწევრიანებას ნატოში. საინტერესოა მათი კომენტარები ამ საკითხთან მიმართებაში.

ჯერ კიდევ 2019 წელს, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხმამაღლა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებდა საპრეზიდენტო არჩევნებში, უკრაინა მკაფიოდ გააგრძელებდა იმ საგარეო პოლიტიკური კურსით სვლას, რაც აქამდე არჩეული ჰქონდა, ამის შესახებ „Interpressnews.ge“ იუწყება.

უკრაინის საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელიც ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზეა მიმართული, არ შეიცვლება მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში“, - ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა პავლო კლიმკინმა ტელეარხ CNBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ უკან შემოტრიალება არ მოხდება. საგარეო პოლიტიკაში მარცხნივ ან მარჯვნივ გადახვევა არ მოხდება. უკრაინის საზოგადოება არავის მისცემს საგარეო პოლიტიკის კურსიდან გადახვევის საშუალებას“, - განაცხადა უკრაინის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

კლიმკინმა ასევე აღნიშნა, რომ არაფერი შეიცვლება რუსეთთან ურთიერთობებში. „საუბარია ჩვენს მენტალიტეტზე, ისტორიაზე. უკრაინა განაგრძობს სვლას ევროატლანტიკური საზოგადოებისკენ. სტრატეგიის თვალსაზრისით ეს სვლა არ შეიცვლება“, - დასძინა მან.[20] (Interpressnews.ge, 2019)

2020 წლის 21 ოქტომბერს, ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრის წინ, პრესკონფერენციაზე, ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ძალიან მნიშვნელოვანი გაცხადება გააკეთა, სადაც ხაზი გაუსვა იმას, თუ რაოდენ ღირებული პარტნიორებია ნატოსთვის უკრაინა და საქართველო.

[20] Interpressnews.ge, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი - ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეიცვლება მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში, 2019, გვ.1. https://www.interpressnews.ge/ka/article/540010-ukrainis-sagareo-sakmeta-ministri-kveqnis-sagareo-politikis-kursi-ar-sheicvleba-miuxedavad-imisa-vin-gaimarjvebs-saprezidento-archevnebshi (ბოლო ნახვა: 27.06.2021)

ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნული მას შემდეგ განაცხადა, რაც „ინტერფაქს-უკრაინის“ ჟურნალისტმა ირინა სომერმა მას ჰკითხა იქნება, თუ არა გათვალისწინებული „ნატო 2030“-ის შემუშავების პროცესში ასპირანტი ქვეყნების, უკრაინისა და საქართველოს ინტერესები. სტოლტენბერგმა დაადასტურა, რომ საკუთარი წინადადებების ნატოს წევრი სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურებისთვის წარდგენამდე, იგი ორივე ქვეყანასთან კონსულტაციებს გამართავს.

„ისეთ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა, დისკუსია და მათი მოსმენა, როგორებიც უკრაინა და საქართველო არიან, ნატოს 2030-ის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია“, – განაცხადა მან.[21] (civil.ge, 2020)

ასევე, ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა, 2021 წელს, მაშინ როცა, ის ევროპის კოლეჯში, ბრიუგეში სიტყვით გამოვიდა. როგორც მან თქვა, უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატოს წევრები, თუმცა გაწევრიანების კონკრეტული თარიღი ამ დრომდე უცნობია, ამის შესახებ იუწყება პირველი არხის ჟურნალისტი, თეკლა ბერაია.

სტოლტენბერგის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნები ორიენტირებული იყვნენ რეფორმების გატარებასა და ინსტიტუტების გაძლიერებაზე. მისი თქმით, სწორედ ეს რეფორმები ეხმარება საქართველოს და უკრაინას ნატო-სკენ მიმავალ გზაზე.

„საქართველოსა და უკრაინისთვის, ორი განსხვავებული ქვეყნისთვის, განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობით და ისტორიით, მაგრამ ორივენი ნატო-ს წევრობისკენ ისწრაფვიან, მათთვის ჩემი გზავნილი არის ის, რომ ორიენტირებული უნდა იყვნენ რეფორმებზე, ინსტიტუტების მოდერნიზებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რეფორმების შესრულებაზე. ჩვენ

[21] civil.ge, სტოლტენბერგი: საქართველო და უკრაინა „ძალიან ღირებული პარტნიორები არიან“, 2020, გვ.1. https://civil.ge/ka/archives/376975?fbclid=IwAR3CrjHCRBoyYUw6HgeEllYboJk2cK3ETSXm2SkgwQHZ6MQ77WTnU4YLAAs (ბოლო ნახვა: 28.06.2021)

ვეხმარებით, მხარს ვუჭერთ ამ რეფორმების გატარების მცდელობებს“, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატო-ს გენერალური მდივნის თქმით, გახდება თუ არა რომელიმე ქვეყანა ნატო-ს წევრი, ეს თავად სუვერენული სახელმწიფოს გადასაწყვეტია. ამ პროცესის უარყოფა კი რუსეთს არ შეუძლია.

„გახდება თუ არა ქვეყანა ნატო-ს წევრი, ეს თავად ამ ქვეყნის და ნატო-ს წევრების გადასაწყვეტია, სხვა არავისი. ზოგჯერ იქმნება წარმოდგენა, რომ რუსეთს აქვს ვეტო, რომლითაც ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანება შეუძლია უარყოს. საქართველოსა და უკრაინის მსგავსად, ქვეყნებს ნატო-ში გაწევრიანება თუ სურთ, რუსეთი ვერ უარყოფს სუვერენული სახელმწიფოს უფლებას, შემოგვიერთდეს“, -აღნიშნა სტოლტენბერგმა.

ასევე, კითხვაზე, შეძლებდა თუ არა რუსეთი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, თუ უკრაინა ნატო-ს წევრი იქნებოდა, სტოლტენბერგმა უპასუხა, რომ შეუძლებელია ეს მომხდარიყო, რადგან ნატო-ს წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა ნატო-ს უმთავრესი პასუხისმგებლობაა. სტოლტენბერგის თქმით, მთელი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნატო-ს ერთ წევრზე თავდასხმა მთელი ალიანსის საპასუხო რეაქციას გამოიწვევს.[22] (ბერაია, 2021)

რუსეთის ოკუპაციის ფონზე, უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ნატო-ში ინტეგრაციის ფორსირებას ითხოვს, ვკითხულობთ „რეზონანსში“. ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ინფორმაციაც გაავრცელა. აღნიშნულ თემაზე უკრაინის პრეზიდენტი ნატოს გენერალურ მდივანს ესაუბრა.

[22] თეკლე ბერაია, იენს სტოლტენბერგი - საქართველოსა და უკრაინის მსგავსად, ქვეყნებს ნატო-ში გაწევრიანება თუ სურთ, რუსეთი სუვერენული სახელმწიფოს ამ უფლებას ვერ უარყოფს, პირველი არხი, 2021, გვ.1. https://1tv.ge/news/iens-stoltenbergi-saqartvelosa-da-ukrainis-msgavsad-qveynebs-nato-shi-gawevrianeba-tu-surt-ruseti-suverenul-sakhelmwifos-am-uflebas-ver-uaryofs/?fbclid=IwAR0muPzlQPwzldvdxJOBhwzEFPBngBRxqI4EaFea_MynijE74lSh6qCraGU (ბოლო ნახვა: 28.06.2021)

„ჩვენ მოწოდებული ვართ ჩვენი არმიისა და თავდაცვის სექტორის რეფორმირებისთვის, მაგრამ რუსეთს მხოლოდ რეფორმები არ შეაჩერებს. ნატო დონბასში ომის დასრულების ერთადერთი გზაა. უკრაინისთვის მაპ-ის მინიჭება რუსეთისთვის ნამდვილი სიგნალი იქნება.

ბოლო კვირების განმავლობაში ჩვენ დავინახეთ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ცეცხლის შეწყვეტის ფაქტების გაზრდის ძალზე საშიში ტენდენცია. დაიღუპნენ უკრაინელი ჯარისკაცები. ასეთი მუდმივი ყოფნა უნდა იყოს ძლიერი შემაკავებელი ფაქტორი რუსეთისთვის, რომელიც განაგრძობს რეგიონის მასშტაბურ მილიტარიზაციას და ხელს უშლის სავაჭრო გადაზიდვებს“, - განაცხადა ზელენსკიმ.[23] (ჩაჩანიძე, 2021)

გასაკვირი არ იყო, როცა ამ ინფორმაციას, კრემლი დამცინავი და ირონიული კუთხით გამოეხმაურა. პრესპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ თუ ნატო ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ამით უკრაინაში კიდევ უფრო დაიძაბება ვითარება.

„ჩვენთვის ძალიან საეჭვოა, რომ ეს უკრაინას შიდა პრობლემასთან გასამკლავებლად დაეხმარება. ჩვენი აზრით, ეს კიდევ უფრო გააუარესებს სიტუაციას, რადგან ხალხის აზრს ყურადღების გარეშე ვერანაირად ვერ დატოვებ, როდესაც ნატო-ში გაწევრიანებაზეა საუბარი და თუ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში მცხოვრები რამდენიმე მილიონი ადამიანის აზრს იკითხავთ, გაიგებთ, რომ ამ ხალხისთვის ნატო-ში გაწევრიანება მიუღებელია“, - აღნიშნა პესკოვმა.[24] (ჩაჩანიძე, 2021)

აქვე, არ დააყოვნა ამერიკის პასუხმაც, უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით ჩასულმა, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, მკაფიოდ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ერთგულია. ენტონი ბლინკენის კომენტარს „ამერიკის ხმა“ ავრცელებს.

---

[23] თამთა ჩაჩანიძე, უკრაინა ნატოში გაწევრიანების დაჩქარებას ითხოვს - რა დახმარებას მიიღებს კიევი რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში, რეზონანსი, 2021, გვ.1.

[24] თამთა ჩაჩანიძე, უკრაინა ნატოში გაწევრიანების დაჩქარებას ითხოვს - რა დახმარებას მიიღებს კიევი რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში, რეზონანსი, 2021, გვ.1.

„მე აქ ვარ ძალიან მარტივი მიზეზის გამო, - პრეზიდენტ ჯო ბაიდენის სახელით, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული პრტნიორობისადმი მტკიცე ერთგულება დავადასტურო. ერთგულება უკრაინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისადმი.“ - განაცხადა ენტონი ბლინკენმა.[25] (ამერიკის ხმა, 2021)

ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა თავის განცხადებაში თქვა, რომ 14 ივნისს, ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები განიხილავენ და მიიღებენ გადაწყვეტილებებს „ნატოს 2030 წლის დღის წესრიგის შესახებ, რათა გავუმკლავდეთ დღევანდელი და ხვალინდელი დღის გამოწვევებს: რუსეთის აგრესიულ ქმედებებს, ტერორიზმის საფრთხეს, კიბეთავდასხმებს, განვითარებად და დამანგრეველ ტექნოლოგიებს, კლიმატის ცვლილებების გავლენას უსაფრთხოებაზე და ჩინეთის აღმასვლას“.[26] (ამერიკის ხმა, 2021)

ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი მომენტი, უკრაინისა და ნატოს გზის, 14 ივნისია, მაშინ, როცა გამოცხადდება ნატოს გადაწყვეტილება. უკრაინის მთავრობა და უკრაინელი ხალხი დიდი მოლოდინითაა განსჭვავლული, რადგან როგორც აღნიშნავენ, ამ რეალობაში ეს გზა, არის ყველაზე ჭეშმარიტი და მართალი.

2.2. უკრაინა-ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა: სტრატეგიული თანამშრომლობიდან ასოცირებულ წევრობამდე

[25] ამერიკის ხმა, აშშ უკრაინის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ერთგულია - ბლინკენი, 2021, გვ.1. https://www.amerikiskhma.com/a/blinken-visits-ukraine-amid-tensions-with-russia/5880476.html?fbclid=IwAR3ZWwA4lg51W6-CGDo5QlEan4brWe4Vh4__g-Tb3QNritcCTvf3c10kmNM (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

[26] მარიამ უგრეხელიძე, 13-წლიანი მოლოდინი - მზადაა, თუ არა უკრაინა მაპის მისაღებად, ამერიკის ხმა, 2021, გვ1. https://www.amerikiskhma.com/a/nato-ukraine-future/5880951.html?fbclid=IwAR34WhPz0Uuy0HTrHc20D3hLDbA51iJLI2CMg_Gmzaundc09qrA4h3M11is (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

უკრაინისა და ევროკავშირის თანამშრომლობა უკრაინისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, საჭირო და აუცილებელია. ეს არის ის გაერთიანება, რომელიც კონცენტრირებულია მშვიდობაზე, კეთილდღეობასა და თავისუფლებაზე.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები.

შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (Europeam Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (ზეეროვნული) ორგანო, ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“ (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რის შედეგადაც საფუძველი დაედო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებას“. რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და

ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“, ხოლო 1992 წელის მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე - „ევროკავშირი“ ეწოდა.[27] (საქართველო და ევროკავშირი - საინფორმაციო ცენტრი)

როგორც „On.ge“-ის მომზადებულ სტატიაში ვკითხულობთ, უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებები 2007-დან 2011 წლამდე მიმდინარეობდა, დოკუმენტს კი ხელი 2014 წლის 21 მარტსა და 27 ივნისს მოეწერა. ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი ძალაში 2014 წლის პირველ ნოემბერს შევიდა.

2017 წლის 11 ივნისიდან უკრაინის მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლა ამოქმედდა. ევროკავშირმა და კიევმა სავიზო ლიბერალიზაციაზე მოლაპარაკებები 2008 წელს დაიწყეს. 2015 წლის ბოლოს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომ უკრაინამ პროგრესი

[27] საქართველო და ევროკავშირი - საინფორმაციო ცენტრი, ევროკავშირის ისტორია, გვ.1. http://old.infocenter.gov.ge/euinfo-history/?fbclid=IwAR2UntC_BtWPDnNpObKAdmpRhaGXm1pffd0I-Eqs-_RdTg_93NrRwIAYtbs (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

განიცადა და ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა ვიზალიბერალიზაციისთვის.

2017 წლის 1 სექტემბერს უკრაინასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ძალაში სრულად შევიდა.

ევროკომისიის პრეზიდენტის ჟან-კლოდ იუნკერის თქმით, ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლით ევროკავშირი თავის დაპირებებს ასრულებს:

„ყველა სირთულის მიუხედავად, ჩვენ ეს შევძელით... მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ეს შესაძლებელი გახადა: მათ, ვინც მაიდანზე იდგა და მათ, ვინც დაუღალავად შრომობს, რათა ქვეყანაში რეფორმები გაატაროს. ევროპისთვის ეს ზეიმია“.

საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ფედერიკა მოგერინი ამბობს, რომ მათ ევროკავშირისა და უკრაინის მოქალაქეებს შორის უფრო მჭირდო ურთიერთობას მიაღწიეს:

„ეს ნიშნავს უფრო მჭიდრო ურთიერთობას ჩვენს მოქალაქეებს შორის, დიდ სავაჭრო ბაზრებსა და ბიზნესისთვის მეტ შესაძლებლობებს, ინფორმაციის, ექსპერტიზისა და გამოცდილების მეტ გაზიარებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ერთ მიზნებს ვიზიარებთ და უკრაინელ ხალხს შეუძლია ევროკავშირთან თანამშრომლობისა და მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს“.

სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებათა საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან დაახლოების შედეგებს უკრაინის მომავალი თაობა იგრძნობს:

„უკვე ჩანს ხელშეკრულების რეალიზაციის პირველი კონკრეტული შედეგები: ევროკავშირში უკრაინის ექსპორტმა იმატა, ხოლო ევროკავშირმა თავის მხრივ დააფიქსირა თავისი პოზიცია, როგორ უკრაინის პირველმა სავაჭრო პარტნიორმა. ბოლო პერიოდში უპრეცედენტო იყო უკრაინის

ძალისხმევა რეფორმების კუთხით, თუმცა კიდევ ბევრი სამუშაოა, კერძოდ, კორუფციასთან ბრძოლა უნდა გაგრძელდეს“.[28] (on.ge, 2017)

2020 წლის მონაცემებით, ვხედავთ, რომ უკრაინელი ექსპერტებისა და უკრაინული მთავრობის გამოთვლები ერთმანეთს დაემთხვა. აღნიშნულ კვლევებში პროცენტულად იყო წარმოდგენილი, თუ რამდენად მოხდა უკრაინის მხრიდან ევროკავშირის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. ამ ყველაფერს კი Александр Савицкий-ის სტატიაში ვკითხულობთ, რომელიც მან „DW.COM“-თვის მოამზადა.

„წინა ოთხი წლისგან განსხვავებით, ამჯერად საზოგადოებრივ ექსპერტთა შეფასება უკრაინისა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის შედეგების საფუძველზე თითქმის მთლიანად დაემთხვა მთავრობის მონაცემებს, თქვა ლიუბოვ აკულენკომ, უკრაინის ევროპული პოლიტიკის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ანგარიშის პრეზენტაციის დროს: ბალკანეთის ქვეყნების ევროკავშირთან ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი. ჩვენი შეფასებით, ხელშეკრულების 41,6% შესრულებულია, მთავრობის ანგარიშის თანახმად კი - 42%.“

აკულენკოს აზრით, წარმატება მიღწეულია ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის, კომპანიების საქმიანობის, სახელმწიფო შესყიდვების, ენერგეტიკის, დაბეგვრისა და მომხმარებლის დაცვის სფეროში. საერთო ჯამში, ასოციაციის ხელშეკრულების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წარმატების მქონე სექტორების წილი 10,4% -ს შეადგენს. იმ ინდუსტრიების წილმა, სადაც მრავალი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა,

[28] On.ge, დღეიდან უკრაინა-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება ძალაში სრულად შევიდა, 2017, 1გვ.1. https://on.ge/story/13948-%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3 (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

მაგრამ მათი განხორციელება შენელებულია სხვადასხვა მიზეზების გამო, შეადგინა 18,9%. ეს არის, პირველ რიგში, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური კონკურენცია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, მეწარმეობა და მომსახურებით ვაჭრობა.

უკრაინის მთავრობის ვიცე-პრემიერი უკრაინის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ოლგა სტეფანიშინა ამ მაჩვენებლებს „კოლოსალურ წარმატებად“ მიიჩნევს. მან გაიხსენა, რომ უკრაინასა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულება ყველაზე მოცულობითია ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან ამგვარი შეთანხმებების შორის. „ჩვენ მივაღწიეთ ევროინტეგრაციის დონეს 2.0. და ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ 481-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ მხარეები პერიოდულად განიხილავენ შეთანხმების გარკვეული მექანიზმების ეფექტურობას“, - დასძინა სტეფანიშინამ.[29] (Савицкий, 2020)

ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო უკრაინისთვის 2021 წლის 11 თებერვალი. ამ დღეს, ევროპარლამენტმა ხმების უმრავლესობით მიიღო ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილი იყო ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ ინფორმაცია. საინტერესოა ამ უახლესი დოკუმენტის განხილვა, სადაც მოცემულია, როგორც მიღწევები, ასევე კრიტიკაც.

„Укринфор“-ის ინფორმაციით, აღნიშნულს 526 ევროპარლამენტარმა მისცა ხმა, მათგან 79 წინააღმდეგი იყო, ხოლო 71-მა თავი შეიკავა.

„დოკუმენტი, რომელიც ყოველწლიურად მზადდება, შეიცავს მნიშვნელოვან პოლიტიკურ მესიჯებსა და შეფასებებს უკრაინისთვის, როგორც უკრაინასა და ევროკავშირს შორის ორმხრივი ასოცირების

[29] Александр Савицкий, Соглашению об ассоциации Украины с ЕС мешает частая смена приоритетов, DW.COM, Киев, 2020, გვ.1. https://www.dw.com/ru/%D1%81%D0%BE%D0%B3%D0%BB%D0%B0%D1%88%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8E-%D0%BE%D0%B1-%D0%B0%D1%81%D1%81%D0%BE%D1%86%D0%B8%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B8-%D1%83%D0%BA%D1%80%D0%B0%D0%B8%D0%BD%D1%8B-%D1%81-%D0%B5%D1%81-%D0%BC%D0%B5%D1%88%D0%B0%D0%B5%D1%82-%D1%87%D0%B0%D1%81%D1%82%D0%B0%D1%8F-%D1%81%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%B0-%D0%BF%D1%80%D0%B8%D0%BE%D1%80%D0%B8%D1%82%D0%B5%D1%82%D0%BE%D0%B2/a-54195446?fbclid=IwAR0vzSXEmaDPwasHtRm2UlHAqt0Oo2tcp3cOIgq290mcORB6LjRI6XPWbEU (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესთან, ასევე უკრაინის წინაშე არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ევროპული მხარის შეშფოთება უკრაინის გარკვეული უკან დახევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან რეფორმებში, კერძოდ, სასამართლო რეფორმების, ანტიკორუფციული და კანონის უზენაესობის სფეროში.

კერძოდ, ანგარიში ადასტურებს, რომ ორმხრივი ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა (DCFTA) წარმოადგენს უკრაინასა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების საფუძველს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველზე. ეს შეთანხმება არის საგზაო რუქა უკრაინაში განხორციელებული რეფორმებისათვის, რომლის სრული განხორციელება უნდა იყოს ნიშანი უკრაინის მუდმივი მცდელობებისა ევროკავშირთან დაახლოებისკენ, მისი ეტაპობრივი ინტეგრაცია ევროკავშირის საერთო ბაზარზე, პოტენციალისა და უპირატესობების სრულად გაცხადებით. DCFTA.

დოკუმენტში აღიარებულია, რომ უკრაინას აქვს ევროპულ პერსპექტივა ევროკავშირის შეთანხმების 49-ე მუხლის შესაბამისად და შეუძლია მიმართოს ევროკავშირში წევრობის საკითხს, კოპენჰაგენის ყველა კრიტერიუმის დაცვით და დემოკრატიის პრინციპების დაცვით, ძირითადი თავისუფლებების, ადამიანის და უმცირესობების უფლებები, კანონის უზენაესობის პატივისცემა და ა.შ[30] (Укринформ, 2021)

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში შენიშვნების ამოკითხვაც იყო შესაძლებელი.

„კერძოდ, ეს ეხება კორუფციასთან ბრძოლას, რომლის ინდექსი, საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიშის თანახმად, უკრაინაში 2017 წლის მაჩვენებელზე დაბრუნდა. ამავე დროს, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უკრაინის მოდერნიზაციას, დეოლიგარქიზაციას, რეფორმებსა და კორუფციასთან ბრძოლას მხარს უჭერს უკრაინის მოქალაქეთა

[30] Укринформ, Европарламент принял доклад по Соглашению об ассоциации Украина-ЕС, 2021, გვ.1.

აბსოლუტური უმრავლესობა და ამ თხოვნას დღევანდელმა მთავრობამ უპასუხოს რაც შეიძლება მალე.

ანგარიშში მოცემულია სასამართლო სისტემის ხარვეზების დეტალური ანალიზი, კერძოდ, უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს გასული წლის ოქტომბრის გადაწყვეტილების დესტრუქციული შედეგი, რამაც შექმნა დიდი სამართლებრივი გაურკვევლობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი ინსტიტუციური არქიტექტურისთვის. უკრაინა. ამ კონტექსტში, ევროპარლამენტმა ყურადღება გაამახვილა ამ სამართლებრივი ხარვეზის სწრაფად მოგვარების აუცილებლობაზე და ხელისუფლების მხრიდან გადამწყვეტ ზომებზე, რათა შეიქმნას პირობები დამოუკიდებელი სასამართლო და სამართლებრივი სისტემის რეფორმირებისათვის, რომელიც დაფუძნებული იქნება სასამართლო და ანტიკორუფციული ორგანოების ხელმძღვანელების ფრთხილად შერჩევაზე. გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი პერსონალის შერჩევა გამჭვირვალობასა და სათნოებაზე დაყრდნობით.

დოკუმენტი შეიცავს ცალსახად დასკვნას, რომ ქვეყანაში ყველა სხვა მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმის ბედი, აგრეთვე მისი შემდგომი ურთიერთობები ევროკავშირთან, დამოკიდებულია უკრაინის ძალისხმევის წარმატებაზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა.[31] (Укринформ, 2021)

მოხსნებაში ხაზგასმითაა ნახსენები ის, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

„ფაქტი, რომ უკრაინა იძულებულია განახორციელოს საჭირო სოციალური და ეკონომიკური რეფორმები დეზინფორმაციული კამპანიების ფონზე. მის წინააღმდეგ მიმართული, კიბერ შეტევები, ჰიბრიდული საფრთხეები და კონფლიქტი აღმოსავლეთში, უკრაინა, რომელიც გამოწვეულია რუსეთის

[31] Укринформ, Европарламент принял доклад по Соглашению об ассоциации Украина-ЕС, 2021, გვ.1.

აგრესიით, ამ ქვეყნის მიერ ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონების ნაწილების ოკუპაციით, აგრეთვე ყირიმისა და სევასტოპოლის ოკუპაციით. ევროკავშირი მკაცრად გმობს რუსეთის ასეთ ქმედებებს და ატარებს ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის არაღიარების თანმიმდევრულ პოლიტიკას.

მოხსენებაში ასევე მოცემულია 2014 წლის უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩამოგდებული MH17 ფრენის ტრაგედიის გამოძიების შეფასება და დაგმობილია რუსეთის უარი საერთაშორისო გამოძიებაში კონსტრუქციულად მონაწილეობაზე და ამ ტრაგედიაში პასუხისმგებელი რუსეთის მოქალაქეების დევნაზე.

ამავდროულად, დოკუმენტი გმობს რუსეთს ოკუპირებული ყირიმის მილიტარიზაციისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებისთვის, ხაზს უსვამს ქერჩის სრუტეზე ნაოსნობის შეუფერხებელი თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობას საერთაშორისო კანონის შესაბამისად.

ევროპარლამენტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ყირიმის ნახევარკუნძულის დეოკუპაციის საერთაშორისო ფორმატის შემოღების მოთხოვნა ევროკავშირის აქტიური მონაწილეობით, მათ შორის საერთაშორისო ყირიმის პლატფორმის შექმნა ევროკავშირის მაღალი წარმომადგენლის, წევრის მხარდაჭერით. აცხადებს და ყირიმის თათრული ხალხის მეჯლისის მონაწილეობით, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

„საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპანტი სახელმწიფო, სრულ პასუხისმგებლობას ეკისრება ყირიმის ნახევარკუნძულის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის პრობლემების გადაჭრაზე, წყლის მიწოდების ჩათვლით ... მეოთხე ჟენევის თანახმად კონვენცია, რომლის მხარეც არის რუსეთი, საოკუპაციო ხელისუფლებას არ შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლების მოზიდვა საკუთარ შეიარაღებულ ან

დამხმარე ძალებში სამსახურისთვის“, - ნათქვამია დოკუმენტში.[32] (Укринформ, 2021)

უკრაინისა და ევროკავშირის თანამშრომლობა არის სტრატეგიული მნიშვნელობის, რომელიც ერთის მხრივ, აუცილებელი და საჭიროა თავად უკრაინისთვის, მეორეს მხრივ, ეს კავშირი მომგებიანია სამხედრო ბლოკისთვისაც.

2.3. უკრაინის საგარეო პოლიტიკა რუსული „ჰიბრიდული ომის“ კონტექსტში

21-ე საუკუნეში სახელმწიფოები აღმოჩნდნენ ისეთ რეალობაში, სადაც ყველაფერი რადიკალურად შეცვლილია. დღეს, ერთმანეთისთვის ზიანის მიყენება სხვადასხვა მეთოდებით ხდება, რომელიც ცდება იმას, რაც აქამდე იყო. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია „ჰიბრიდული ომი“, რომელიც თავის თავში მოიაზრებს, როგორც სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ასევე მრავალ არასამხედრო გზებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში „საინფორმაციო ომამდეც“ დადის.

„ჰიბრიდულ ომს“ რაღა თქმა უნდა მიმართავს რუსეთი, რომელსაც კარგად ჩამოყალიბებული და გაწერილი მიზნები, ამოცანები და მეთოდები აქვს. საინტერესოა, რუსეთის გენშტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, სადაც განმარტებულია, როგორც ბრძოლა საინფორმაციო ველზე, ასევე, რუსული ჰიბრიდული ოპერაციების განხორციელების მეთოდები. „europe for georgia“-მ მნიშვნელოვანი გზავნილები თავის სტატიაში შეკრიბა.

ე.წ. «გერასიმოვის დოქტრინაში» აღწერილია «ახალი თაობის ომის» ისეთი მახასიათებლები, რომელიც შემდგომში, რუსეთმა გამოიყენა უკრაინაში

[32] Укринформ, Европарламент принял доклад по Соглашению об ассоциации Украина-ЕС, 2021, გვ1.

(ყირიმის ანექსიის და დონბასში დესტაბილიზაციის კერების შექმნის დროს).

დოქტრინის თანახმად, «ახალი თაობის ომი» გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

ა) სამხედრო მოქმედებები იწყება მშვიდობიან პერიოდში, ანუ ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ არის; ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების ნაცვლად, კონფლიქტი ხასიათდება მცირე მასშტაბის, ლოკალური შეტაკებებით;

ბ) ადგილი აქვს საბრძოლო მოქმედებებში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების და შეიარაღებული სამოქალაქოების გამოყენებას;

გ) ბრძოლა მიმდინარეობს არა 3, არამედ 4 სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე;[33] (europe for georgia, 2017)

რუსული ჰიბრიდული ოპერაციების განხორციელების მეთოდების შემთხვევაში, გამოიკვეთა რამდენიმე მათგანი, რომელიც „ჰიბრიდული ომის“ პირობებში, მკვეთრად და მკაფიოდ გამოჩნდა უკრაინასთან დაკავშირებით.

კონფლიქტში ჩართულობის ე.წ. დამაჯერებელი უარყოფის სტრატეგია (#Ихтамнет), სამხედრო მოსამსახურეების სამოქალაქოების საფარით გამოყენება;

არასამხედრო ასიმეტრიული მეთოდების გამოყენება (საინფორმაციო, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და იდეოლოგიური საშუალებების გამოყენება სასურველი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გარემოს შესაქმნელად);

მოწინააღმდეგის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა სპეციალური ოპერაციების გამოყენებით (დიპლომატიური არხებით, მედია საშუალებებით, პოლიტიკური და

[33] europe for georgia, ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, 2017, გვ.1. http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/?fbclid=IwAR0XPA7EcwZSauAnM3I8g63PtVmPtlKZqIzzg4Tmz-ITwxR6TRA-7dz3lyU (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

სამხედრო უწყებების სპეციალურად შედგენილი მონაცემების, ბრძანებების, მითითებებისა და ინსტრუქციების გამიზნული გაჟონვით);

მოწინააღმდეგის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის შანტაჟი, მოტყუება და მოსყიდვა, რათა იძულებულები გახდნენ, უარი თქვან სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებაზე;

აქტიური პროპაგანდა მოსახლეობის დემორალიზების მიზნით, რომლის პარალელურადაც იწყება მცირე დივერსიული ჯგუფების შეღწევა;

არასაფრენი ზონის შემოღება სამიზნე ქვეყნის საჰაერო სივრცეში, მისი ტერიტორიული ბლოკადა და კერძო სამხედრო კომპანიების აქტიური გამოყენება, ადგილობრივი ოპოზიციასა და სეპარატისტულ, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად;

აქტიური/მასშტაბური სადაზვერვო-დივერსიული აქტივობები და სამხედრო მოქმედებების დაწყება - ყველა ფორმის, მეთოდისა და ძალის გამოყენებით;

საინფორმაციო ოპერაციების, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების, ზეზუსტი შეიარაღებისა და სხვა თანამედროვე საშუალებების გამოყენება;

სამიზნე ქვეყნის შეიარაღებული ძალების დარჩენილი წინააღმდეგობის კერების/შენაერთების განადგურება სპეცდანიშნულების ძალების გამოყენებით.[34] (europe for georgia, 2017)

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა ნაშრომმა უცხოელი მკვლევარების ყურადღება მიიქცია, შემდგომ კი, გერასიმოვი, რუსული „ჰიბრიდული ომის“ იდეოლოგადაც გამოაცხადეს.

უკრაინისთვის, როგორც საქართველოსთვის რუსეთის „ჰიბრიდული ომი“, რომელსაც ის ორივე ქვეყანაში აქტიურად აწარმოებს, ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი გამოწვევაა. რუსეთი მობილიზებულია იმისათვის, რომ ამ

[34] europe for georgia, ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, 2017, გვ.1. http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/?fbclid=IwAR0XPA7EcwZSauAnM3I8g63PtVmPtlKZqIzzg4Tmz-ITwxR6TRA-7dz3lyU (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

ორ ქვეყანაში თავად მართოს მათი, როგორც შიდა, ასევე, საგარეო პოლიტიკა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის ამისთვის ძალ-ღონეს ნამდვილად არ იშურებს.

საინტერესოა, ჰიბრიდული ომის მკვლევარის, დავით ძიძიშვილის ინტერვიუ on.ge-სთან, სადაც ის „ჰიბრიდულ ომს“ განიხილავს უკრაინის ჭრილში.

„ჰიბრიდული ომი ყველაზე პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც რუსეთმა ეს მეთოდები 2014 წელს უკრაინაში გამოიყენა. თვისობრივად, ამ ტერმინში ახალი არაფერია. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული და უფრო ადრეც, იმ ყველა მეთოდს, რომელსაც ჩვენ ჰიბრიდულ ომს ვუწოდებთ, კაცობრიობა იყენებდა, თუმცა ასეთი მასობრივი არ ყოფილა. ტექნოლოგიების, ადამიანის ცნობიერების განვითარებამ და რესურსებისადმი მაღალმა წვდომამ თემის გააქტიურება გამოიწვია.

ეს არის ომის წარმოება ბევრი სხვადასხვა მეთოდის სინთეზით. ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილი, რა თქმა უნდა, სამხედრო მოქმედებებიცაა, მაგრამ მისი არსია, მოწინააღმდეგემ დიდი უპირატესობა სამხედრო ძალების გამოყენებამდე მოიპოვოს. თუ ჯარი შეგყავს ქვეყანაში, რომლის წინააღმდეგაც ჰიბრიდულ ომს აწარმოებ, იქ უკვე საბრძოლო აღარაფერია. სამხედრო მოქმედებების მთავარი მიზანი კი რეგიონზე ბატონობის განმტკიცებაა.[35] (ჩადუნელი, 2018)

კითხვაზე, თუ როდის დაინახა „ჰიბრიდული ომის“ საფრთხე საქართველომ, ბატონი დავითი პასუხობს, რომ ეს ყველაფერი როგორც საქართველომ, ასევე, მსოფლიომ უკრაინის მაგალითზე დაინახა.

„ქვეყანამ ეს პრობლემა 2014 წლის, უკრაინის მოვლენების შემდეგ დაინახა. მსოფლიომაც, ჩვენც ამიტომ დავინახეთ. ჰიბრიდულ ომზე ლაპარაკი მოდა

[35] სალომე ჩადუნელი, ინფორმაცია, რომელიც წამლავს - რუსული ჰიბრიდული ომის საფრთხეები საქართველოში, on.ge, 2018, 1გვ.1. https://on.ge/story/25048-%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D?fbclid=IwAR2BKN0QGTbqJfX845dBxWQHZhKEAr1z4LYZEe3M8AcUjSImE-9riLnkJWc (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

გახდა. რეალურად, საქართველოში საინფორმაციო ომზე ფიქრი პირველად, 2011 წელს თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო. შეიქმნა ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ოპერაციების განვითარების განყოფილება და აქედან დაიწყო ძვრა. ეს განყოფილება პროგნოზებს აკეთებდა, თუმცა ყურადღებას არავინ აქცევდა, სანამ 2014-ში უკრაინის ქეისი არ მოხდა. სხვებმა დაიწყეს ამაზე საუბარი და ჩვენც ვთქვით, რომ „უი, უი, ჩვენც უნდა დავიწყოთ საუბარი". დღეს ყველა ჰიბრიდული ომის „სპეციალისტია". ადამიანები, რომლებიც ადრე სხვა რამეს აკეთებდნენ, დღეს ჰიბრიდულ ომზე გველაპარაკებიან.[36] (ჩადუნელი, 2018)

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, თუ როგორ შუქდებოდა სხვადასხვა ქვეყნის მედიაში უკრაინის ამბები და რა შეფასებები მოჰყვა რუსეთის „ჰიბრიდულ ომს". ამას Александр Виноградов-ის სტატიაში გავეცნობით.

„ყირიმმა აჩვენა „ჰიბრიდული ომის" „რუსული ვერსია", - ამბობს ჩინეთის ახალი ამბების „სახალხო ქსელის" ანალიტიკოსი.

„2014 წლის 24 თებერვლიდან 21 მარტის ჩათვლით, რუსეთმა სხვადასხვა ხერხი გამოიყენა ყირიმის ერთი შეტევისთვის, რამაც შოკში ჩააგდო ნატო. რუსეთმა ჯერ წამოიწყო პროპაგანდისტული მანქანა ადგილობრივი რუსების პრორუსული განწყობების მობილიზებისთვის, შემდეგ ჩამოვიდა შენიღბული სპეცრაზმი და რეგულარული ძალებიც მიჰყვნენ მას. კრიტიკულ მომენტში დივერსიულმა ძალებმა გაანადგურეს უკრაინის სამეთაურო სისტემა, ხოლო რუსულმა არმიამ აიღო კონტროლი სხვადასხვა ობიექტზე. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ რუსეთმა მოაწყო ყირიმის რეფერენდუმი და რამდენიმე დღის შემდეგ გამოაცხადა ყირიმის შესვლა რუსეთში კენჭისყრის შედეგების საფუძველზე. რუსეთმა პრაქტიკაში გამოიყენა დასავლეთში განვითარებული „ჰიბრიდული ომი" თეორია და ამ

[36] სალომე ჩადუნელი, ინფორმაცია, რომელიც წამლავს - რუსული ჰიბრიდული ომის საფრთხეები საქართველოში, on.ge, 2018, გვ.1 https://on.ge/story/25048-%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D?fbclid=IwAR2BKN0QGTbqJfX845dBxWQHZhKEAr1z4LYZEe3M8AcUjSImE-9riLnkJWc (ბოლო ნახვა: 29.06.2021)

თეორიის ტიპურ მაგალითად ყირიმი აიღო. 2014 წელს ყირიმში მომხდარი ინციდენტის დროს, როდესაც რუსეთმა ყირიმში ჯარი გაგზავნა,მან ფართო გამოყენება გამოიყენა ფსიქოლოგიური ომის, საზოგადოებრივი აზრის ომისა და იურიდიული ომის სხვადასხვა მეთოდების შესახებ, ასევე გამოიყენა ბირთვული ძალები დასავლეთის შესაკავებლად და მისი ჩარევის თავიდან ასაცილებლად. შემდეგ პუტინმა გარე სამყაროს გაუმხილა, რომ რუსეთი მზად იყო ბირთვული იარაღის გამოყენებისთვის. 4 მარტს, როდესაც ნატო-სთან დაპირისპირება ყველაზე მწვავედ მიმდინარეობდა, რუსეთმა წარმატებით გამოსცადა უახლესი ICBM და აჩვენა პოზიცია, რომელშიც ის უყოყმანოდ იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში, ამიტომ დასავლეთი მოქმედებას ვერ ბედავდა. რუსეთის თამამმა და მოულოდნელმა მოქმედებებმა ნატოსათვის ძალიან გვიან მიიღო სწორი გადაწყვეტილების მიღება, მითუმეტეს სათანადო რეაგირებისა და მათ სხვა გზა არ აქვთ, თუ არა ე.წ. სანქციების ხელკეტი. ჩანს,რომ ინფორმაციის ხანაში, სადაზვერვო და ადრეული გაფრთხილების ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ბრძოლის ველი უფრო და უფრო „გამჭვირვალე“ ხდება, ხოლო საბრძოლო მოულოდნელობის მიღწევის სირთულე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „ჰიბრიდულ ომში“, რომელიც სხვადასხვა საშუალებებსა და ბრძოლებს იყენებს სხვადასხვა სფეროში, ზოგიერთ ტრადიციულ სტრატეგიას შეუძლია იმუშაოს, სანამ ისინი სათანადოდ გამოიყენება“.

„რუსეთი ატარებს სატანკო წვრთნებს ყირიმში“, - თქვა არგენტინის გამოცემა Zona Militar- ის რეპორტიორმა .

„რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ წვრთნები მიმდინარეობს ოპუკის, ანგარისა და კაზაჩის ბანაკებში. სწავლება მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღით T-72B3 ტანკებისა და ჯავშანმანქანების BTR-82A–სგან. სამინისტროს ცნობით, 40 ჯავშანმანქანა გადასაღებ მოედანზე გადავიდა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სატანკო ნაწილებმა ნახევარკუნძულზე უკვე ჩაატარეს ღამის წვრთნები. გარდა ამისა,

ცნობილია, რომ რუსეთი აპირებს ამ გაზაფხულზე ყირიმის 3000-ზე მეტ მაცხოვრებლისკენ მოუწოდოს, შეუერთდნენ რუსეთის არმიას. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის გამო გამოხატა მწვავე პროტესტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „რუსეთის მიმართვა ყირიმის მაცხოვრებლების მიმართ უხეშად არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარულ კანონს, რომელიც კრძალავს რუსეთს, როგორც აგრესორ სახელმწიფოს, აიძულოს მოსახლეობა ემსახუროს მათ შეიარაღებულ ან დამხმარე ძალებში.“ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე აღნიშნა, რომ „კორონავირუსული პანდემიის ფონზე, რომელიც ასევე სწრაფად ვრცელდება“, საგაზაფხულო ზარის განცხადება "განსაკუთრებით მწვავედ გამოიყურება“.

„ევროკავშირი: ყირიმში რუსეთის მიმართვა არღვევს საერთაშორისო სამართალს“, - წერს გერმანიის ახალი ამბების სააგენტოს ესპანური გამოცემის მიმომხილველი Deutsche Welle- ს კოლონიტი .

„ევროკავშირმა გააფრთხილა ამ შაბათს, რომ ყირიმში და ქალაქ სევასტოპოლში ჯარში გაწვევა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევაა.“ განცხადებაში, ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის (EEAS) წარმომადგენელმა გაიხსენა, რომ კავშირი „არ ცნობს და არ ცნობს“ ყირიმის ანექსიას რუსეთის მიერ და გააფრთხილა ნახევარკუნძულის მკვიდრთა გაწვევის უკანონოდ რუსეთის არმია. „ეს არის საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევა. რუსეთის ფედერაცია ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს და ვალდებულია უზრუნველყოს ნახევარკუნძულზე ადამიანის უფლებების დაცვა“, - თქვა EEAS- ის წარმომადგენელმა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ევროკავშირი აგრძელებს მოსკოვის მოთხოვნას „გამოიძიოს საერთაშორისო სამართლის ყველა დარღვევა“ ყირიმში. უკრაინამ და დიდმა ბრიტანეთმა გააკრიტიკეს ყირიმში რუსეთის გაწვევა.[37] (Виноградов, 2020)

[37] Александр Виноградов, «Крым показал российскую версию «гибридной войны» – People's Network, Крым.реалии, 2020, გვ.1.

რუსეთის „ჰიბრიდულ ომს“ უკრაინის წინააღმდეგ აფასებს სამოქალაქო მოძრაობის ლიდერი „Spilna Spilna“, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მრჩეველი და თავდაცვის რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე დანილიუკმა. მის შეფასებებს კი Ксения Кириллова-ს სტატიაში ვკითხულობთ.

„ახლა ყირიმში რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული საკარანტინო ზომების მთავარი მიზანი არის იქ განთავსებული რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაცვა და არა ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა. სწორედ ამან განაპირობა სევასტოპოლის დახურვა და სხვა მსგავსი ზომები. ახლა ნახევარკუნძულზე 30 ათასზე მეტი რუსი ჯარისკაცი იმყოფება. უკრაინას არ აქვს ანექსიის საკითხის სამხედრო გადაწყვეტის შესაძლებლობა და რუსეთმა ეს კარგად იცის, ამიტომ ყირიმში განლაგებული დაჯგუფება უნდა განიხილებოდეს არა როგორც თავდაცვითი, არამედ შეტევითი ჯარი. თეორიულად, ახალი დარტყმის განხორციელება შესაძლებელია როგორც ყირიმის კონტინენტთან დამაკავშირებელი ვიწრო დერეფნების მეშვეობით, ისე შავი და აზოვის ზღვების გავლით. სხვათა შორის, პანდემიამდეც კი, რუსეთმა გაზარდა საზღვაო ქვეითთა კორპუსის ყოფნა ყირიმში. რა თქმა უნდა, ყველა ეს საფრთხე დღესაც არსებობს, - თქვა ექსპერტმა.“

მოსკოვის საბოლოო მიზანია უკრაინაში მოსახერხებელი და კრემლის მიერ კონტროლირებადი უკრაინელი პოლიტიკოსების „დამუშავება“ და ხელისუფლებაში მოყვანა. საგარეო სამეთაურო სტრუქტურების მეშვეობით ხდება კონტროლის მოპოვების სტრატეგიის გარშემო კონცენტრირებული მთელი თანამედროვე სამხედრო აზროვნება, დაწყებული „გერასიმოვის დოქტრინიდან“ და ეს საფრთხე გრძელდება მანამ, სანამ თვით რუსეთში არ შეიცვლება ხელისუფლება“, - აფრთხილებს ის.[38] (Кириллова, 2020)

„ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში, უკრაინასა და საქართველოში იკვეთება შემდეგი საფრთეები და რისკ-ფაქტორები, რომელსაც ილია ხუციშვილი,

[38] Ксения Кириллова, Гибридная война России против Украины продолжится – эксперт, Крым.реалии, 2020, გვ.1

თავის ნაშრომში „რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოსა და უკრაინაში“ განიხილავს.

უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ ინფორმაციული ომის საწარმოებლად კიბერ ომი, კიბერ ტერორიზმი, ჰაკერული შეტევები და სხვ. მიმართულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის პარალიზებისაკენ, რომელიც ემსახურება სამოქალაქო ან სამხედრო (ან კომბინირებულად ორივე ერთად) სექტორის დაზიანებას, დამთრგუნველი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და დეზინფორმაციის გავრცელებას, რასაც თან სდევს სადაზვერვო შეღწევადობისათვის ხელსაყრელი პირობებისა და საზოგადოების მიერ ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობების, მასობრივი არეულობის, კანონიერი ხელისუფლების დამხობის წინაპირობების შექმნა; რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, თავიანთი ე.წ „წარმომადგენლების“ დახმარებით, „ჰიბრიდული ომის“ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა, ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების დონის შესწავლა და რუსეთისათვის სასარგებლო პროპაგანდის წარმოება მიმდინარეობს; რუსეთის მიერ მათ პოლიტიკაზე ორიენტირებული მასმედიის საშუალებების ფორმირება, ფინანსური მხარდაჭერა და მათი მეშვეობით მათთვის სასარგებლო პროპაგანდის წარმოება (ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია და საკუთარი საგარეო კურსის პოლულარიზაცია, მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება, სეპარატისტული იდეების გაჟღერება, ეთნიკურ-რელიგიური შუღლის გაღვივება და სხვ.) მიმდინარეობს, რომელიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მოსახლეობაში რუსეთისთვის ხელსაყრელი განწყობების ჩამოყალიბებას ემსახურება; რუსეთის სპეცსამსახურები, თავიანთი ე.წ. „წარმომადგენლების“ დახმარებით, „ჰიბრიდული ომის“ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უკრაინისა და საქართველოში ეწევიან საკუთარი სახელმწიფოსათვის სასარგებლო პროპაგანდას. სადაზვერვო

საქმიანობის ფარგლებში, ოპერაციული ქმედებების ნაწილს წარმოადგენს რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსაპოვებლად ისეთი სადაზვერვო ოპერაციების დაგეგმვა-განხორციელება, როგორებიცაა ემბარგო, ეკონომიკური ბლოკადა, ენერგო რესურსებით მანიპულირება, აღნიშნული ქვეყნების მიერ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად; რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საზოგადოებაში მიმდინარეობს პროცესების იმგვარად წარმართვა, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო და უკრაინა არ არიან მზად ევრო ინტეგრაციისათვის და აღნიშნული ქვეყნები წარმოაჩინოს არაევროპულ სახელმწიფოდ, სადაც ადამიანის უფლებების ტოტალურად ირღვევა.[39] (ხუციშვილი, 2019)

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებშიც კი, უკრაინას მკაფიო და მკვეთრად გამოხატული საგარეო პოლიტიკა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს ჩაერიოს უკრაინის საქმეებში, მაინც ვერ ახერხებს, უარი ათქმევვინოს იმ კურსზე, რაც ქვეყანამ აირჩია. მნიშვნელოვანია, რომ ამ ბრძოლაში უკრაინა მარტო არაა, რადგან მის გვერდითაა მთელი მსოფლიო, რომელმაც კარგად დაინახა რუსეთის „მეთოდები“, რითიც ცდილობს გავლენა მოიპოვოს, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა „ჰიბრიდული ომის“ პირობებში მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, მაინც უდრეკად იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, მთლიანობისთვის და თავისუფლებისთვის.

კვლევა და მისი შედეგები

[39] ილია ხუციშვილი, რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოსა და უკრაინაში, 2019, გვ.83

საინტერესო აღმოჩნდა ის კვლევა, რაც ჩავატარე და კიდევ უფრო საინტერესოა ის შედეგები, რაც ამ ყველაფერმა მომცა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დიდ სოციუმს არ მოიცავს, მაინც მნიშვნელოვანი და საგულისხმოა, რადგან აქ დაინახავთ უშუალოდ უკრაინელი ხალხის განწყობებსა და იმას, თუ რა არის მათთვის პრიორიტეტი.

სხვადასხვა საშუალებებით (პირისპირ გასაუბრება, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელში საკითხის დასმა) გამოვკითხე 86 უკრაინის მოქალაქე, რომელთაც დავუსვი სამი კითხვა, ესენია: ა) უჭერთ თუ არა მხარს უკრაინის ევროპულ გზას ? ბ) მოგწონთ თუ არა უკრაინის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა ? და გ) ხედავთ თუ არა უკრაინას, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანას, ისევ „საბჭოთა კავშირის“ მარწუხებში ?

მეტი თვალსაჩინოებისთვის კითხვებზე პასუხებს, რაოდენობრივად, დიაგრამების სახით წარმოგიდგენთ.



გრაფიკი 1. უჭერთ თუ არა მხარს უკრაინის ევროპულ გზას ?

რაოდენობრივი თვალსაზრისით ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: 60 ადამიანი უჭერს მხარს უკრაინის ევროპულ გზას, ხოლო 15 ადამიანი არა. 5-მა უკრაინის მოქალაქემ თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისგან, ხოლო 6-მა მათგანმა გვითხრა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ. (იხ.გრაფიკი 1)



გრაფიკი 2. მოგწონთ თუ არა უკრაინის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა ?

კითხვაზე მოგწონთ თუ არა უკრაინის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა, გამოკითხულთაგან 66-მა გვიპასუხა რომ კი, ხოლო 5-მა მათგანმა არა. რაც შეეხება 86-დან 10-მა მოქალაქემ თავი შეიკავა, ხოლო 5-მა მათგანმა გვითხრა, რომ ამ ეტაპზე კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ. (იხ. გრაფიკი 2)



გრაფიკი 3. ხედავთ თუ არა უკრაინას, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანას, ისევ „საბჭოთა კავშირის“ მარწუხებში ?

კითხვაზე, ხედავთ თუ არა უკრაინას, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანას, ისევ „საბჭოთა კავშირის“ მარწუხებში, 70-მა ადამიანმა გვიპასუხა, რომ არა

და დასძინეს ისიც, რომ არასდროს დაუშვებენ ამას. 86 გამოკითხულიდან 5-მა გვითხრა, რომ მათ სურთ წარსულის დაბრუნება, 8 მათგანმა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისგან, ხოლო 3-მა გვითხრა, რომ მათ უჭირთ პასუხის გაცემა. (იხ. გრაფიკი 3)

მართალია, ამ მცირე მონაცემებით, რთულია განვსაზღვროთ ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის ფონი, თუმცა თვალსაჩინოა, ის გარემოება, რომ ამ კვლევის პასუხები პირდაპირ პროპორციულია იმისა, თუ რა მოვლენები მიმდინარეობს უკრაინაში.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მასში შემავალ ქვეყნებს, ძალიან დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ გამხდარიყვნენ დამოუკიდებლები, თავისუფლები და დამდგარიყვნენ განვითარების იმ გზაზე, რომელიც ევროპისკენაა მიმართული.

ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა უკრაინა, რომელმაც თავისი არსებობის ისტორიაში, მრავალი ომი გამოიარა, მრავალი გამოწვევა დასძლია და ახლა არის იქ, სადაც უკრაინელი ხალხის სურვილი და ნებაა.

„მაიდანის რევოლუცია“ - ეს იყო ის ერთ-ერთი გარდამტეხი მოვლენა, რომელმაც ნათლად დაგვანახა, თუ რა სურს დღეს უკრაინას. ეს იყო ის დღე, როცა უკრაინელმა ხალხმა საბოლოოდ დააფიქსირა პოზიცია, რომ მათი ქვეყანა დასავლური ვექტორის ერთგულია და რომ ისინი, არავის მისცემენ უფლებას, ამ გზიდან ოდნავ მაინც გადაუხვიოს.

2014 წლიდან დღემდე, ევროპის ერთ-ერთი დიდი ქვეყანა გვანახებს იმ შეუპოვრობას, რომლითაც მიიწევს წინ, იმ კურს, რომელიც მკაფიოდ და ნათლად აქვს არჩეული და იმ მებრძოლ სულს, რომელიც დღევანდელობაში ყველაზე მეტად სჭირდებათ. სწორედ, ამ პერიოდის განმავლობაში, ჩვენ დავინახეთ რუსეთის აგრესია, როცა მან უკიდურესს ხერხს, ანექსია მიმართა და მოახდინა ყირიმის ოკუპაცია. ეს იყო ის, რითაც რუსეთმა დაანახა, არა მარტო უკრაინას, არამედ მთელ მსოფლიოს, რომ ის არ დანებდება და რომ ის, ისევ ფიქრობს იმ ძველი დიდების დაბრუნებაზე, რასაც „საბჭოთა კავშირი“ ჰქვია.

მიუხედავად ამ რეალობისა, უკრაინამ მაინც გააგრძელა ის გზა, რაზეც იდგა და დაიწყო ხმამაღლა საუბარი, რათა კიდევ უფრო მიექცია დასავლეთის ყურადღება. დაიწყო ბრძოლა იმისათვის, რომ პირველ რიგში, უფრო მკვეთრად დაენახებინა ყველასთვის რუსეთის, როგორც აგრესორის სახე და ამასთანავე დაემტკიცებინა, რომ უკრაინა, როგორც ერი არის ინდივიდუალური, დამოუკიდებელი, თავისუფალი და რომ ის, არასდროს დაუბრუნდება რუსეთს.

ბევრი მცდელობა იყო იმისა, რომ რუსეთი ჩარეულიყო უკრაინის, როგორც შიდა, ასევე, გარე პოლიტიკაში, მის მმართველობაში და შეეცვალა ის დღის წესრიგი, რაც უკრაინას უკვე გაწერილი აქვს, რაც, რასაკვირველია დღესაც გრძელდება. აღსანიშნავია, ის შავი და ბინძური მეთოდები, რომელსაც რუსეთი ხშირ შემთხვევაში მიმართავს.

ერთ-ერთი ასეთი არის პროპაგანდა, რომელსაც უმეტესწილად მიმართავენ ის ჟურნალისტები და ტელევიზიები, რომლებიც რუსეთის მთავრობის დაქვემდებარებაში არიან. ისინი მიზანმიმართულად ახდენენ ადამიანთა აზრის ფორმირებას და რა თქმა უნდა ისმის მხოლოდ და მხოლოდ ის ნარატივი, რაც აწყობს პუტინს.

აქვე, ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც უშუალოდ რუსეთი-უკრაინის ურთიერთობაში გამოჩნდა, არის ჰიბრიდული ომი. როგორც ვიცით, ეს არის ის გზა, რასაც რუსეთი აქტიურად იყენებს უკრაინის მიმართ, და მეთოდი, რომელიც მსოფლიომ მხოლოდ ამ მოვლენების შემდეგ დაინახა. ჰიბრიდული ომი, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მოგონილია, აზიანებს ყველაფერს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ.

ამ რეალობაში, უკრაინის დღევანდელი საგარეო პოლიტიკა, ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრულია. ქვეყანა აქტიურად მიიწევს ნატოში გაწევრიანებისკენ და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. ამის კვალდაკვალ კი აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთი აქტიურად უჭერს მხარს, როგორც უკრაინის ამ გეზს, ასევე, მის ტერიტორიულ მთლიანობას. ეს კი ყველაზე დიდი ძალაა უკრაინისთვის, მით უფრო იმ ვითარებაში, რაშიც ახლა ის იმყოფება.

უკრაინამ თავიდანვე იცოდა ისიც, რომ ამ გზაზე სიარული მარტივი არ იქნებოდა და რომ ის აღმოჩნდებოდა ძალიან მნიშვნელოვანი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე. თუმცა, მას ყოველთვის ჰქონდა მეგობრების იმედი, რომლებმაც მოლოდინები გაუმართლეს კიდეც. აღსანიშნავია, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება და

ურთიერთმხარდაჭერა ერთმანეთის მიმართ და რაღა თქმა უნდა დასავლეთის მხარდაჭერა იმ ქვეყნების მიმართ, ვინც ცდილობს ევროპის გზას დაადგეს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს და ვფიქრობ გადამწყვეტიც არის, ის განწყობა, რომელიც უკრაინელ ხალხში სუფევს. ისინი აქტიურად უჭერენ მხარს დასავლურ კურსს და მათ უმრავლესობას არც უნდა „საბჭოთა კავშირში“ დაბრუნება. ეს გამოჩნდა, როგორც „მაიდანის რევოლუციის“ მოვლენების დროს, ასევე დღესაც, მაშინ, როცა უკრაინელი ხალხი ითხოვს ნატოში გაწევრიანებას, რათა უფრო მკვეთრად და აქტიურად მოხდეს „ყირიმის ამბებზე“ რეაგირება.

ვფიქრობ, ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამაც მცირე წვლილი შეიტანა ამ რეალობის აღსაქმელად. კვლევის შედეგებში ნათელია, თუ რა სურს უკრაინელ ხალხს. კვლევი შედეგად მოცემული ჰიპოთეზე დასტურდება.

ამ საკითხზე თანხმდებიან უკრაინელი პოლიტიკოსებიც და ექსპერტებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ ეტაპისთვის ნატოში გაწევრიანება, იქნება ქვეყნისთვის ახალი შანსი, რათა დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რაშიც აქამდე იყო, თუმცა რაღა თქმა უნდა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, მაშინ, როცა ერთეულები ფიქრობენ, რომ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უკრაინის მთავრობა ევროპას.

უკრაინის საგარეო პოლიტიკის კურსის ტრანსფორმაცია ნამდვილად მოხდა „მაიდანის რევოლუციის“ მოვლენების დროს და მას შემდეგ ქვეყანა მიიწევს მხოლოდ და მხოლოდ წინ ევროპისკენ და არა უკან „საბჭოთა კავშირისკენ“. გარდამტეხი როლი რა თქმა უნდა ითამაშა უკრაინელმა ხალმხა, რომლებიც იბრძვიან, ისწრაფვიან, მიიწევენ იმ მიზნისკენ, რასაც დამოუკიდებელი, თავისუფალი, განვითარებული უკრაინა ჰქვია.

ბიბლიოგრაფია

1. კვარაცხელია გვანცა, ნატო - მსოფლიო უსაფრთხოების გარანტი, 2020, მე-3 გვერდი
2. ციგანკოვი, 2015, 298 გვ.
3. ხუციშვილი ილია, რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოსა და უკრაინაში, 2019, 83-ე გვერდი
4. Elias Götz, Russia, the West, and the Ukraine Crisis, 2018
5. Ofer Fridman, Russian "Hybrid Warfare": Resurgence and Politicization, 2018
6. ЕФРЕМОВА Марина Викторовна, РОЛЬ ВНЕШНЕГО ФАКТОРА В РОССИЙСКО-УКРАИНСКИХ ОТНОШЕНИЯХ
7. Кривогуз М, УКРАИНА СЕГОДНЯ, 2018, 62 ст

ინტერნეტ რესურსები

1. ამერიკის ხმა, აშშ უკრაინის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ერთგულია - ბლინკენი, 2021 https://www.amerikiskhma.com/
2. ამერიკის ხმა, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის მომავალი, 2014 https://www.amerikiskhma.com/
3. ბენუა ირაკლი, უკრაინის დაშლის შიდა და საგარეო პოლიტიკური მიზეზები, 2014 https://politicano.blog/
4. ბერაია თეკლე, იენს სტოლტენბერგი - საქართველოსა და უკრაინის მსგავსად, ქვეყნებს ნატო-ში გაწევრიანება თუ სურთ, რუსეთი სუვერენული სახელმწიფოს ამ უფლებას ვერ უარყოფს, პირველი არხი, 2021 https://1tv.ge/news
5. კომახია მამუკა, პოსტ საბჭოთა სივრცეში რუსეთის პოლიტიკის მიმოხილვა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, გამოცემა 3, 2020 https://www.gfsis.org/ge/russian-

monitor/view/2808?fbclid=IwAR3yjAKQhPUvvmMfZpT9OgAtQqWACmgL-hggeAzhdW34RSLakt0CwayTNTU

6. ნიკვაშვილი თათია, 5 წელი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიიდან, მითების დეტექტორი, 2019 http://www.mythdetector.ge/ka/myth/5-celi-rusetis-mier-qirimis-aneksiidan?fbclid=IwAR2LIaTRJ1vhItgz08SEIxr-KmFCA0uvtpmj82Ny0_0WbwJsbGZCyDXQaRI
7. საქართველო და ევროკავშირი - საინფორმაციო ცენტრი, ევროკავშირის ისტორია https://old.infocenter.gov.ge/georgia-and-the-european-union/
8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://mfa.gov.ge/Home.aspx?lang=ka-GE&fbclid=IwAR3iUBb4OYcFFrSRag5AOfG1dLElaitJ8WKkJ5R8Um5Mm2dWvjfMd4P2SSk
9. უგრეხელიძე მარიამ, 13-წლიანი მოლოდინი - მზადაა, თუ არა უკრაინა მაპის მისაღებად, ამერიკის ხმა, 2021 https://www.amerikiskhma.com/a/nato-ukraine-future/5880951.html?fbclid=IwAR28gzHVsunbqyE0KrxYlb4gzr1oYGrx69l9QHLWsrubaCjw7vexyRT4oPM
10. უკრაინის საელჩო საქართველოში, პოლიტიკური ურთიერთობები უკრაინასა და საქართველოს შორის, 2020 https://georgia.mfa.gov.ua/ka/spivrobitnytstvo/political?fbclid=IwAR2Sys4eM6az8xkZOdvXupW0skYYZLyA4tb4FroACOhWFquLz-hSnJT3wjk
11. ჩადუნელი სალომე, ინფორმაცია, რომელიც წამლავს - რუსული ჰიბრიდული ომის საფრთხეები საქართველოში, on.ge, 2018 https://on.ge/story/
12. ჩაჩანიძე თამთა, უკრაინა ნატოში გაწევრიანების დაჩქარებას ითხოვს - რა დახმარებას მიიღებს კიევი რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში, რეზონანსი, 2021 http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=8&id_artc=123386&fbclid=IwAR3KnSeh2n1Mz1T4vkPOmv5FKC9z3f5oM7ZBCeb_i16xx1klRLKOaxd6ejw

13. civil.ge, სტოლტენბერგი: საქართველო და უკრაინა „ძალიან ღირებული პარტნიორები არიან“, 2020 https://civil.ge/ka/archives/376975?fbclid=IwAR0wPL0DKDlLSQQu2sNrgmo0oLTV-a9Dh11yQpcbxHOx4EifGBCKXbmrTD0
14. europe for georgia, ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, 2017 http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/?fbclid=IwAR0K1JnGZgLU5rYJ8fmnFqdQPU5eDn_fe96tZZpDp06tAmpjoawvV60NSFE
15. Interpressnews.ge, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი - ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეიცვლება მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში, 2019 https://www.interpressnews.ge/
16. On.ge, დღეიდან უკრაინა-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება ძალაში სრულად შევიდა, 2017 https://on.ge/story/
17. Виноградов Александр, «Крым показал российскую версию «гибридной войны» – People's Network, Крым.реалии, 2020 https://ru.krymr.com/a/krym-v-inosmi-rossiyskaya-versiya-gibridnaoi-voiny/30550507.html?fbclid=IwAR3Jj03rvt1w0X1_flBQZVyVErvNFOS3R6ULtjaLUNZ7k8tToW02vAnz_Zg
18. Европейская правда, Страны ГУАМ в Киеве подписали два протокола о намерениях, 2019 https://www.eurointegration.com.ua/rus/news/2019/12/13/7104191/
19. Кириллова Ксения, Гибридная война России против Украины продолжится – эксперт, Крым.реалии, 2020 https://ru.krymr.com/a/gibridnaya-voyna-rossii-protiv-ukrainy-prodolzhitsay-expert/30565531.html?fbclid=IwAR2hFiDpUl0f_RO1JnmXrIVu9YKSncJtRoBt3lJOe2NMBqwr19IM1dvPCUM
20. ПРЕЗИДЕНТ УКРАЇНИ, Президент: Восточное партнерство полезно для Украины, если приближает наше государство к членству в ЕС https://www.president.gov.ua/ru/news/prezident-shidne-partnerstvo-korisne-

dlya-ukrayini-yaksho-na-61689?fbclid=IwAR3Bj5A9CWzJbQ5UuQg_8Go-BfOVGcZDbNzCFIJNgkZQIrU6C4dnVZ41QcY

21. Савицкий Александр, Соглашению об ассоциации Украины с ЕС мешает частая смена приоритетов, DW.COM, Киев, 2020 https://www.dw.com/ru/
22. Савицкий Александр, Эксперты: „Восточное партнерство“ на Украине недопонимают и недооценивают, Киев, 2010 https://www.dw.com/ru
23. Укринформ, Европарламент принял доклад по Соглашению об ассоциации Украина-ЕС, 2021 https://www.ukrinform.ru/rubric-polytics/3188562-evroparlament-prinal-doklad-po-soglaseniu-ob-associacii-ukrainaes.html?fbclid=IwAR3ugaPxttaJKHFRgqxauKYYNk2s3x1Tc2qYvrlLZKQxn26ugiGm2Q9ldFk